ცალკე ნომერი ორი შაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის ადრესი:
ორბელიანის ქუჩა 6.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება სამშაბათობით და შაბათობით 11-2 საათამდე.
კონტორა ღიაა ყოველ დღე.

# ნობათი

С. М.

დღისით და ღამით მოყმენი
ნობათსა არ დასცდებიან...
შოთა რუსთაველი

შინაარსი:

1) მეთაური 1 ივლისი.
3) სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუცია. Bäton-ისა.
3) ფელეტონი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. კ. ო-სა.
4) ორგანიზაცია ინტერნაციონალისა. მ. ბაკუნინისა.
5) კორესპონდენცია.

№ 14 კვირა 2 ივნისი 1906 წ. № 14

## ხელის მომწერთა და მკითხველთა საყურადღებოთ

ეს ნომერი „ნობათისა“ უკანასკნელია. **ეს მე-14 № „ნობათისა“, როგორც ორგანო ჩვენი მიმართულებისა ათავებს არსებობას.**

„ნობათის“ მაგიერ სულ მოკლე დროში გამოვა **სამეცნიერო თეორიული კვირეული გაზეთი „თემი“** რომელშიდაც ახალ თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ **ყველა „ნობათის“ თანამშრომლებიც**. ხელის მომწერთაც ეს გაზეთი გაეგზავნებათ „ნობათის“ მაგიერ.

ახალ ორგანოს შესახებ უფრო დაწვრილებით ცნობებს თავისდროზე „მუშაში“ მოვათავსებთ.

### **თფილისი 1 ივლისი**

ითვალისწინებთ დღევანდელ დღის ვითარებას და უნებლიეთ გუშინდელი გაგონდებათ. რა იყო გუშინ? გუშინ იყო მოძრაობა, რომელმაც შეარყია რუსეთის ტახტი და მასზედ მჯდომმა ხალხის დასამშვიდებლად 6 აგვისტოს მანიფესტი გამოსცა. მაგრამ ის „დაპირებანი“, რომელნიც ისეთი დიდ ამბით უბოძეს ხალხს, როგორც დიდი ძვირფასი რამ, ისეთი ყალბი, ისეთი ტყუილი გამოდგა, რომ ხალხი კიდევ უფრო გაჯავრდა, კიდევ უფრო აღელვდა. დადგა დაუვიწყარი რუსეთის ისტორიისათვის დრო—ოქტომბერ-ნოემბრის დღეებში. ათას წლობით მონობის სვეტზე მიკრულმა ხალხმა ბორკილები შემოიწყვიტა ენერგიული განძრევითა და ბრძოლის მოედანზე გამოვიდა უძლევ დევ-გმირად. შეძრწუნდა შავი ძალები; ჰოტები, ლამურები და სხვა ბნელეთის მოსახლენი და ადამიანის სისხლის მოყვარენი აქეთ იქით სოროებში მიმოიმალნენ. ტახტი კიდევ უფრო შეირყა და მასზედ მჯდომიც შეიძრა. კიდევ აბობოქრებული ხალხის ზვირთის დასაწყნარებლად, შერყეული ტახტის მოსამაგრებლად გამოიცა 17 ოქტომბრის მანიფესტი. მასშიდ უფრო დიდი დაპირებანი იყვნენ ჩაწერილნი და თან ისიც იყო ნათქვამი, რომ ეს უბრალო დაპირება არ არის, რასაც ვამბობთ იმას უსათუოდ ავასრულებთო. ხალხის სიხარულს ბოლო არ ჰქონდა. ნევის პროსპექტზე გამვლელ გამოვლელნი ერთმანეთს ეხვევოდნენ და კოცნიდნენ, ულოცავდნენ დიდებული დღის გათენებას, თავისუფლების განხორციელებას:

გული მიტირდა. არაფერი არ არის ისე სამწუხარო, ისე გულ მოსაკლელი, როგორც სურათი ხალხის ბრბოსა, რომელიც სიხარულს ეძლევა იმისათვის, რომ ის მოატყუეს. არაფერი არ არის ისე სამწუხარო და გულ მოსაკვლელი, როგორც თავისუფლების დაპირებით მოტყუებული რევოლიუცია. ოქტომბერ-ნოემბრის მოძრაობა კი—დღეს ეს ეჭვს გარეშე—თავისუფლების დაპირებით მოტყუებული რევოლიუციაა. გადაწყვეტილ იქმნა ხალხის წარმომადგენლების მოწვევა. ამიერიდგან მთელი იმედი ხალხისა ამ წარმომადგენლებზე გადვიდა. ერთი ნაწილი საზოგადოებისა შეეცადა დაეჯერებინა ხალხი: შენი როლი ამიერიდან გათავდა, შენ შენი ჰქენი; მიიღე უფლება წარმომადგენლები იყოლიო, დადეგ შენს ადგილზე, აწინდელი მათი საქმეაო. სარევოლიუციო ძალები დაიყო, რითაც სარეაქციო ძალებმა ისარგებლეს. ისტორია უსათუოდ იტყვის, როცა ის მიუკერძოებლად დააფასებს ჩვენი დროის ვითარებას, რომ დიდი შეცდომა რუს-რევოლიუციისა მდგომარეობს იმაში, რომ მან 17 ოქტომბრის თავისუფლების დაპირება თავისუფლებად მიიღო, სიხარულსა და განცხრომას მიეცა და მით რეაქციას დრო მისცა წელში გამართულიყო. ჩვენი რევოლიუცია 9 იანვარს კი არა, 6 აგვისტოსაც კი არა, 17 ოქტომბერსაც იმდენად შეუგნებელი იყო, რომ მას მანიფესტში მოქცეული თავისუფლება მართლა თავისუფლება ეგონა. მან არ იცოდა, რომ მანიფესტს არსად და არასოდეს ტყუილებისა და ახალი მონობის გარდა არაფერი არ მოუტანია და არც მოიტანს. თავისუფლება მაშინ კი

არ ხორციელდება, როცა ხალხს მანიფესტს აძლევენ, არამედ მაშინ როცა ხალხი თითონ სცემს მანიფესტს, მაშინ როცა ის მის ზევით მდგომარეობს—ტირანებსა და მჩაგვრელებს თავის ქვევით დააყენებს და განჩინებას წაუკითხავს. თავისუფლება არ არის ხალხისთვის იქ, სადაც ხალხი ამნისტიასა და შენდობასა თხოულობს, არამედ იქ, სადაც ხალხსა თხოვენ ამნისტიასა და შენდობას. უკანასკნელი მისტისფიკაცია ხალხისა მით არის შესანიშნავი, რომ მან ერთი ნაწილი ხალხისა გამოარკვია, შეაგნებინა მნიშვნელობა და ჭეშმარიტება **მოცემული** თავისუფლებისა; ამ უზარ-მაზარ, პანამისებურ მისტიფიკაციის შემდეგ, ერთმა ნაწილმა ხალხისამ ნახა ის გზა, რომელიც პირდაპირ თავისუფლების სამეფოში მიდის; როცა ის გადაჭრით და ენერგიულად დაადგება ამ გზას, მაშინ მის მსვლელობას სინათლისა და თავისუფლებისაკენ ვეღარაფერი შეაჩერებს. მატყუარა და მისტიფიკატორები აწი ნულარ გაირჯებიან—ყველა მათ აღარ დაუჯერებს· არის ეხლა ერთი ნაწილი, ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ სწრაფლად მოზარდი, რომელმაც ნათლად იხილა შესაძლებლობა თავისუფლებისა და მას ვეღარაფერი ნახევარ-ზომებით ვეღარ დააკმაყოფილებენ. ეხლა 17 ოქტომბრის მანიფესტი აღარ კმარა, სრულიადაც რომ განხორციელდეს:—ბევრი სისხლი და ცრემლია დაქცეული. 17 ოქტომბრის მანიფესტი სისრულით და ფართოდ განხორციელებულიც ვერ ზღავს იმ ვალს, რომელიც რეაქციამ ძველი რეჟიმს დაადვა. რეაქციამ ძველი რეჟიმის სრული აღმოფხვრა აუცილებელ საჭიროებად გახადა. კონსტიტუციამ დააგვიანა; ადრე რომ მოსულიყო, სანამ ამდენი სისხლი და ცრემლი დაიქცეოდა, შეიძლება მას ძველი რეჟიმი, თუმცა დაქუცმაცებული, შეცვლილი კიდევ გადაერჩინა, მაგრამ ეხლა გვიან·ღაა, ისე როგორც გვიან იყო, როცა ლიუდოვიკ XVI დასთანხმდა კონსტიტუციაზე. ამას გარდა კიდევ ერთი მსგავსებაა რუსეთისა და საფრანგეთის დიდ რევოლიუციათა შორის: როგორც იქ ის კამარილია, რომელსაც ცენტრად გრაფი დ'არტუა და დედოფალი ჰყავდა, ისე აქ ის ვაჟბატონები, რომელნიც, თავადი ურუსოვის სიტყვით, „აღზდით გოროდოვოები და რწმენით პოგრომშჩიკები“ არიან, ყოველი თავის მოქმედებით ხელს უწყობენ რესპუბლიკანური პარტიის გაძლიერებას და...

ესეთია ალბად კანონი. ჩვენმა რევოლიუციამ უნდა განიმეოროს წარსული რევოლიუციების უმთავრესი ეპიზოდები და ზოგ რამეში კიდეც უნდა შეავსოს და გააფართოვოს ისინი. ასე, მაგალითად, საფრანგეთის რევოლიუციამ შეავსო და განიმეორა ინგლისის რევოლიუცია, რომელიც თითქმის საუკუნე ნახევრით წინ უსწრობდა მას. მაგრამ, ვიმეორებთ, საფრანგეთის რევოლიუციამ შეავსო ინგლისის რევოლიუცია იმ გამოცდილებით, იმ ისტორიულ ფილოსოფიით, რომელიც ინგლისის რევოლიუციიდან გამომდინარეობს, და კიდევ იმ გონებრივი ზრდით, რომელიც მოხდა იმ საუკუნე ნახევრის განმავლობაში. რუსეთის რევოლიუციამაც უნდა განიმეოროს შევსებით ის, რაც მას წინ უსწრობდა, მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვინც იტყვის, რომ რუსეთის რევოლითციამ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ იმ პრინციპებით, რომლითაც ხელმძღვანელობდა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია. საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს ხალხი არ იყო გამოყოფილი ახლად შობილი დემოკრატიისაგან, ის კიდევ ვერ ხედავდა კარგად, თუ რა წინააღმდეგობაა ხალხისა და ბურჟუაზიის ინტერესებს შორის, თუნდ ეს უკანასკნელი უკიდურესი დემოკრატიულიც იყოს. ხალხი სრულიად აერთებდა და ერთმანეთს უმორჩილებდა თავის ხალხურ და დემოკრატიულ ინტერესებს. და რადგან მას მისი ინტერესები იმავე დროს დემოკრატიის ინტერესებად მიაჩნდა, თავის სვე ბედის გადაწყვეტაც იმავე დემოკრატიას მიანდო. ეს დიდი შეცდომა იყო, რომელიც ძვირად დაუჯდა მაშვრალ ხალხს. მან სისხლის და ცრემლის ფასით შეიტყო 1848 და 1871 წ.წ., ვინ არის დემოკრატია და რა სურს მას მუშა ხალხისათვის. ამ ორი უკანასკნელი რევოლიუციებით ის გამოიცადა. მან შეიგნო რომ თანამედროვე საზოგადოებაში მაშვრალი ხალხი თავის ინტერესებით ისე განკერძოებული სდგას, რომ ყოვლად შეუძლებელია მის ინტერესთა დამცველად გახდეს რომელიმე სხვა კლასი, ყოვლად შეუძლებელია მინდობა პროლეტარიატის ინტერესების დაცვისა რომელიმე სხვა კლასისათვის. მან შეიგნო რომ ყოველ მოძრაობაში მუშა ხალხი უნდა ჩაერიოს მხოლოდ თავისი საკუთარი პროგრამით, ყოველი მოძრაობა მან უნდა დაუმორჩილოს თავის ინტერესებს, ე. ი. ის უნდა ეცადოს გახადოს ყოველი რევოლიუცია თავის საკუთარ რევოლიუციად. ორმა უკანასკნელმა რევოლიუციამ შესძინა საფრანგეთის პროლეტარიატს ეს გამოცდილება. ეს გამოცდილება ისე მდიდარია თავის პრაქტიკული შედეგებით, ისე ძვირფასად არის ნაყიდი, რომ არ შეიძლება მისი გვერდის ახვევა, არ შეიძლება არ ისარგებლოს მითი მთელმა რუსეთის პროლეტარიატმა, თუ კი, რასაკვირველია არ უნდა მას უღალატოს თავის ინტერესებს. პროლეტარიატმა არავის არ უნდა ჩააბაროს თავისი ბედიღბალი; პროლეტარიატი ერთი ნაბიჯით არ უნდა მოშორდეს თავის კლასიურ ნიადაგს—ბრძოლას ეკონომიურ თანასწორობისათვის. პროლეტარიატი უნდა დარჩეს პროგრამით და სახსრით განცალკევებულ, სოციალიზმისათვის მებრძოლ კლასად, სანამ მისი იდეალი სისრულით არ იქნება განხორციელებული. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ ოპორტიუნიზმს, იდეალის დაქუცმაცებას, მისთვის კარგი არაფერი მოუტანია. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ საუკეთესო დამცველი მუშათა კლასის ინტერესებისა თვით მუშათა კლასია. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ პროლეტარიატი დიდებული, მომქმედი და შემომქმედი ძალა მაშინაა, როცა ის სრულ თავის იდეალისათვის იბრძვის. მთელი ისტორია ამტკიცებს, რომ ერთად ერთი საშუალება პროლეტარიატის თავისუფლებისა არის მისი განთავისუფლება ეკონომიურ მონობისაგან. ამ ეკონომიურ მონობის დასანგრევად აღმართულ დროშის ქვეშ უნდა დარჩეს პროლეტარიატი, ამ დროშის ქვეშ და მხოლოდ ამ დროშის ქვეშ უნდა იბრძოლოს პროლეტარიატმა, რა სახელიც უნდა ჰქვიოდეს იმ მოძრაობას, რომელშიაც ის იღებს მონაწილეობას. მან სხვას არ უნდა უყუროს. ის სხვისგან არაფერს არ უნდა მოელოდეს: მისთვის ტყუილია და მისტიფიკაცია 6 აგვისტოს, 17 ოქტომბრის მანიფესტები. მისი იდეალის განხორციელების იარაღი არც დუმაა. გზა მის თავისუფლებისკენ მიმავალი მხოლოდ ერთია—სოციალური რევოლიუცია.

## სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლიუცია.

### III

სოციალური ტრანსფორმაცია ჩვენთვის უფრო ღრმა ცნებაა, უფრო ფართო მოვლენა ვიდრე მშვიდობიან სოციალისტებისათვის. იგი ნიშნავს მთელ საზოგადოებრივ განწყობილებათა ძირითად შეცვლას, იგი მოასწავებს ყველა იმ დაწე-

სებულებათა უარყოფას, რომელნიც ეხლა არიან საფუძველნი მთელი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა. იგი ნიშნავს სრულიად ახალ საფუძველთა აშენებას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, სრულიად ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა შემოღებას განვითარების ახალ ხანაში შესულ ადამიანთა მიერ. ძველ საზოგადოებრივ ფორმათა დატოვება,—სახელმწიფოსი და კაპიტალიზმის, თუ გინდ შეცვლილი ფორმითაც,—სრული წინააღმდეგია სოციალური ტრანსფორმაციისა. ახალ საზოგადოებრივ განწყობილებათა და ფორმათა შემუშავება ადამიანთა მიერ კი მოასწავებს სოციალურ ტრანსფორმაციას, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით.

ჩვენი იდეალიც ამგვარი სოციალური ტრანსფორმაციაა. —ძალ-დამტანებელი თანამედროვე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მაგივრად შექმნა იმგვარი ორგანიზაციისა, რომელიც დამყარებული იქმნება თავისუფალ საზოგადოებრივობაზედ, ნებაყოფლობით შეთანხმებაზედ, თავისუფალ საზოვადოებრივ განწყობილებათაგან გამომდინარებულ სოციალურ ზნეზედა და ჩვეულებაზედ.

ჩვენთვის სოციალური ტრანსფორმაციის პირველი მომენტი მაშინ დაიწყება, როდესაც სახელმწიფო და კაპიტალიზმი მოისპობიან და ხალხი, მწარმოებელი, ახალი, თავისუფალი საზოგადოების შექმნას შეუდგება. და რადგანაც თანამედროვე საზოგადოება სახელმწიფოთი და კაპიტალიზმით დახასიათდება, ჩვენი სოციალური ტრანსფორმაციაც გამოიხატება არა მარტო ამ ორსა და განუყოფელ სოციალურ მოვლენათაგან განთავისუფლებაში, არამედ მათი პირდაპირი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივ და პოლიტიკო-ეკონომიურ ცხოვრების ფორმათა შექმნაში,—**კომმუნიზმისა და ანარხიის** დამყარებაში.

ეს არის ჩვენი განსაზღვრა სოციალური ტრანსფორმაციისა, და არც შეიძლება მისი სხვანაირად განსაზღვრა, თუ სიტყვა „სოციალურ ტრანსფორმაციას“ ნამდვილი მისი შინაარსის მიხედვით გავიგებთ,—და აქედამ ცხადად, ლოღიკურად გამომდინარეობს ჩვენი ტაქტიკის ნიშანდობლივი ხასიათი,—ძალ-დატანებითი რევოლიუცია და უარ-ყოფა კანონიერებისა, პარლამენტარული კრეტონიზმისა,—თუ კარგათ დავუკვირდებით ყველა იმ ლოღიკურ დასკვნათა, რომელნიც პირდაპირ გამომდინარეობენ სოციალურ ტრანსფორმაციის ჩვენ მიერ განსაზღვრისაგან.

როდესაც ძალ-დატანებითი რევოლიუციის მოწინააღმდეგენი გვეუბნებიან, რომ ჩვენ მიერ მიღებული ტაქტიკა ძალდატანებისა საჭირო არ არის და მავნებელიცაა, რადგანაც ევოლიუციის ძალით მოხდება სოციალური ტრანსფორმაციაო, ისინი არა მარტო სოციალური ტრანსფორმაციის მათ მიერ შემცდარი განსაზღვრიდან გამოდიან,—ისინი მეორე შეცდომაში შედიან,—აგრეთვე შემცდარად საზღვრავენ ევოლიუციას. მათთვის ეს უკანასკნელი უსათუოდ მშვიდობიანი, უსათუოდ ნელი, უსათუოდ უჩინარი უნდა იყოს ბუნების მოვლენათა ყოველ დარგში. ევოლიუცია მათ*) რაღაც მეტაფიზიკურ ცნებათ აქვსთ წარმოდგენილი,—resistless evolution, როგორც ამბობს ენრიკო ფერრი და პირდაპირ მის მოწინააღმდეგე ცნებად მიაჩნიათ რევოლიუცია, როგორც ძალ-დატანება, როგორც უარ-ყოფა მოვლენის ბუნებრივი განვითარებისა, თითქმის დარღვევა ბუნების კანონის ჰარმონიული მოქმედებისა, და არა ბუნებრივი მოვლენა. მათ ევოლიუცია წარმოუდგენი-

*) არა მარტო მშვიდობიან სოციალისტებს, ძლიერ ბევრ მეცნიერსაც.

# ფელიეტონი

## მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

### ინტერნაციონალი

### VII

ყველა ამ ჭორების მიუხედავად ბაკუნინმა განაგრძო თავის საქმე და სწორედ მაშინ, როცა მისი უძლური მოწინააღმდეგეები რედაქციების კაბინეტებში იჯდნენ და ჭორებსა სთხზავდნენ, ბაკუნინმა თავისი თავგანწირული ბრძოლით რევოლიუციისათვის სამუდამო და დაუშრეტელი დიდება მოუპოვა თავის სახელს. დრეზდენის რევოლიუცია საუკეთესო ფურცელია 1848 წლის მოძრაობისა გერმანიაში და საჭიროა შევჩერდეთ ცოტა მასზე. საზოგადო ხასიათი 1848 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობისა იმაში მდგომარეობს, რომ ყველგან თითქმის წამოყენებულ იქმნა მოთხოვნილება მთელი იმპერიისათვის ერთი საერთო კონსტიტუციის შემუშავებისა. ეს მოთხოვნილება გახდა საერთო პლატფორმა რევოლიუციის, და ზოგ ადგილზე, პირველად ისე სჩანდა რომ ამ მიზანს ადვილად გაახორციელებდა რევოლიუცია. მაგრამ როგორც თვით გერმანიის სახელმწიფოები დაქსაქსული იყო, ისე რევოლიუციაც დაიქსაქსა. ამით ისარგებლა რეაქციამ და ყველგან იმპერიისათვის საერთო კონსტიტუციის შემოღების წინაშე გამოილაშქრა. სხვათა შორის საქსონიის მეფემ, წაქეზებულმა ბერლინიდგან მოსული რჩევით მკვახი უარი განაცხადა საერთო კონსტიტუციის მიღებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მხარე აღელვებული იყო. 3 მაისს (1849 წ.) ომხდამრი დემონსტრაცია საშინელი სისხლის ღვრით გათავდა. მიზანი ამ დემონსტრაციისა იყო იარაღის ხელში ჩაგდება. მეფე დრეზდენიდან გაიქცა, 4 მაისს დროებითი სარევოლიუციო მართველობა იქნა გამოცხადებული. მერინგის სიტყვით*), ამ სარევოლიუციო მმართველობაში მხოლოდ ერთი ჩირნერი ეკუთვნოდა სულით და გულით რევოლიუციას, დანარჩენი, ცოტა არ იყოს გზა-კვალ აბნეული ხალხი იყო. როგორც ყოველი მმართველობა, ისე ეს სარევოლიუციო მმართველობაც მოძრაობას დახმარების მაგიერ თავის გამოურკვევლობით და სიმხდალით ხელს უშლიდა. ერთ შეცდომას მეორე მოსდევდა. თვით ჩირნერმა, რომელიც, როგორც ვსთქვით, მათში უკეთესი იყო, საშინელი შეცდომა ჩაიდინა გეინცეს მთავარ სარდლად დანიშვნით.

„პირველ ხანს აჯანყება იქნა გადარჩენილი ახლო-მახლო ადგილებიდან მოსულ სამრეწველო და სასოფლო პროლეტარიატის დახმარებით. ამათ შეჰქნეს გული ბარიკადებზე მებრძოლთა, რომელთა მოთავეთ გახდა ორი გაბედული და ნიჭიერი კაცი—ბაკუნინი და ბორნი“**) ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს სიტყვები მერინგისა, რომელიც ისეთი მტერია ბაკუნინისაც და ანარქისტებისაც, რომ—რომ შეეძლოს და მოახერხებდეს ერთ დღეს ს მოსპობს ყველას. თუ იძულებული არ იყოს ის ბაკუნინზე კარგს არ იტყოდა. იქვე მერინგი ამბობს, რომ რადგან სარევოლიუციო მართველობა სისუსტესა და უნიჭობას იჩენდა, მთელი საქმეები ბაკუნინმა ჩაიგდო ხელში და ის

*) იხ. მისი История нѣмецкой соц. демократіи т. II стр. 165
**) იგივე წყარო იგივე გვერდი.

ათ, როგორც „კანონი ბუნებისა“, რომელიც ყოველივეს მართავს ერთისა და იგივე ხასიათით.

მაგრამ მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს ენერგიის შენახვის კანონი, მას შემდეგ, რაც ყველა ბუნების მოვლენათა განხილვა დაიწყეს ენერგეტიული თვალთა ხედვით,—ევოლიუციის ცნებაც შეიცვალა, იგი აღარ არის რაღაც მეტაფიზიკური ცნება, საყოველთაო ბუნების კანონი, რომელიც ყველა მოვლენათა ერთსა და იგივე ხასიათის განვითარებას გამოჰხატავს, არამედ იგია უბრალო ფაქტი, შემჩნეული ბუნებაში,—იგი უბრალო პირობაა ფორმათა ცვალებადობისა,—იგი მხოლოდ წინამორბედი პროფესსია ტსანფორმაციის ერთი განსაზღვრული აქტისა. ტრანსფორმაცია კი შეიძლება ათასნაირი ხასიათის იყოს, ათასნაირ პირობათაგან გამოწვეული, ათასნაირ ძალთაგან შექმნილი.

და თანამედროვე ენერგეტიული მეცნიერებაც ასე აყენებს კითხვას: რა და რა ძალები, როგორი ოდნობის ენერგია მოქმედებდა და ვითარდებოდა, და როგორი მიმართულებით, როგორი ხასიათით, რომ ესა თუ ის ტრანსფორმაცია მოეხდინა განსაზღვრულ მოვლენათა დარგში? რა და რა ენერგიის მოქმედებამა და ამ მოქმედებათა რომელმა კომბინაციამ გამოიწვია ესა თუ ის მოვლენა და როგორი პირობებია საჭირო, რომ ეს მოვლენა განავითარო და განაცდევინო მას შემდეგი ტრანსფორმაციები, ან სრულიად მოიშორო იგი თავიდან?

და პასუხი ამ გამოკვლევათა მოსალოდნელი აღმოჩნდა. აღმოჩნდა, რომ არიან იმგვარი მოვლენანი, და ნაწილნი ამ მოვლენათა, რომელნიც ნაყოფნი არიან ენერგიის ნელი მოქმედებისა, არიან იმგვარი მოვლენანიც, რომელნიც უფრო სწრაფ მოქმედებათა ნაყოფნი არიან, არიან მოვლენანი აგრეთვე ბევრ ძალთა სხვა და სხვა ხარისხის მოქმედებათა კომბინაციის ნაყოფნი და სხვ. ერთი სიტყვით, ტრანსფორმაცია იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რა პირობებში მთავრდება იგი, თუ როგორი იყო პროცესსი ფორმის ცვალებადობისა, როგორი ხასიათის იყო მისი **ევოლიუცია**.

არის ევოლიუცია მთელი კოსმოსისა, არის ევოლიუცია არა-ორგანიულ არსთა, ორგანიულ არსთა, ამ უკანასკნელთა ევოლიუცია აგრეთვე ორ დიდ საერთო ევოლიუციათაგან შესდგება,—ევოლიუცია ფილოგენეტიური, ევოლიუცია ონტოგენეტიური,—არის ევოლიუცია აგრეთვე ორგანიზმის მრავალგვარ ნაწილთა მრავალგვარ მოქმედების დროს,—არის სხვათა შორის ევოლიუცია საზოგადოებრივ ფორმათა. ყველა ეს სხვა და სხვა ევოლიუციები სხვა და სხვა პროცესსებია, სხვა და სხვა ძალთა და ენერგიათა სხვა და სხვა პირობებში მოქმედება,—მათი აუცილებელი ფუნქცია მოვლენათა შესაფერი ტრანსფორმაციაა,—და ევოლიუციის ზემოხსენებული მეტაფიზიკური აზრით ხმარება ამ სხვა და სხვა პროცესსთა მსგავსების აღიარება იქმნებოდა, რაიცა აბსურდია, რადგანაც ამ პროცესსთა ხასიათი სულ სხვა და სხვანაირია და სხვა და სხვა ძალებზედ, ძალთა სხვა და სხვა კომბინაციებზედ არის დამოკიდებული. ევოლიუცია—საერთო ცნებაა, რომელიც გამოჰხატავს საზოგადოდ ტრანსფორმაციის წინამორბედ პროცესს, და თვითოეული პროცესსი, თვითოეული ევოლიუცია დახასიათდება იმ ძალთა ხასიათით, ძალთა იმ კომბინაციითა და მოქმედებით, რომლის შედეგიც არის განსაზღვრული მოვლენის ტრანსფორმაცია, თვით შემდეგი განსაზღვრული მოვლენა,—და ერთი პროცესსის ხასიათს,—**მშვიდობიანს თუ არა მშვიდობიანს**,—შეიძლება არავითარი საერთო არა ჰქონდესრა მეორე პროცესსის ხასიათთან, ევოლიუციასთან.

აი ამიტომაც არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **ევოლიუცია**

---

განაგებდაო. სარევოლიუციო მთავრობისაგან დანიშნულმა გენერალმა 7 მაისს იარაღი დაჰყარა და დაემორჩილა მეფეს. მაგრამ აჯანყება ჯერ კიდევ წაგებული არ იყო, მუშები ბლომად მიუდგნენ მას, ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ადგებოდა თუ არა პროვინციები ყოველ მხრით შეკრულ სატახტო ქალაქის საშველად. სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა და აჯანყება ძლეულ იქნა. როგორი იყო ამ მოძრაობაში როლი ბაკუნინისა? მისი ულმობელი მტერიც იძულებულია აღნიშნოს ნიჭი და გაბედულება, რომელიც მან ამ მოძრაობაში გამოიჩინა. ეს ნიჭი და გაბედულება მან გამოიჩინა არა მარტო ბრძოლის დროს, არამედ რევოლიუციის მომზადებაშიც. თვით კრიტიკულ მომენტებში, როცა მისი სიცოცხლე, როგორც ამბობენ, ძაფზედ ეკიდა, ის საშინელ მოქმედების უნარს იჩენდა და დიდი გავლენაც ჰქონდა. 4 მაის სარევოლიუციო მთავრობა იქნა გამოცხადებული და რადგან მან რევოლიუციის მხრივ ყოველი უნიჭობა გამოიჩინა, ბაკუნინმა თვით იკისრა რევოლიუციის ხელმძღვანელობა და 4—9 მაისამდე იყო, როგორც მისი ბიოგრაფები ამბობენ, „დიქტატორი“ საქსონიის აჯანყებულ სატახტო ქალაქისა. ეს საწყალი, სუსტი, უთავბოლო სარევოლიუციო მთავრობის გამოცხადება მოხდა სამი დღის საშინელ და თავგანწირულ ბრძოლის შემდეგ, სადაც ბაკუნინმა მოახმარა რევოლიუციას თავისი საარტილერიო ცოდნა. მისი შეგირდები ჭრელი არმია იყო, რომელიც სტუდენტებისა, ფარმაცევტებისა, მუშებისა და გლეხებისაგან შესდგებოდა. მათ საჩქაროთ სწრთვნიდა ბაკუნინი რევოლიუციისათვის. ამ ჭრელი არმიით, რომელსაც ხელმძღვანელმა საქმით აჩვენა მაგალითი თავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლისა, იცავდა ის 5 დღის განმავლობაში ქალაქს საქსონიისა და პრუსიის შეერთებულ ჯარის წინააღმდეგ. დაუღალავი, თავგანწირული ბრძოლის მიუხედავად ცხადი იყო, რომ აჯანყება ძლეულ იქნებოდა, რადგან პროვინცია გაყუჩებული იყო, არ ინძრეოდა ქალაქის საშველად. ამის გამო ბორნი, რომელიც ბაკუნინთან ერთად დიდ როლს თამაშობდა დრეზდენის აჯანყებაში, იმ აზრისა იყო, რომ უნდა დაეტოვებიათ ქალაქი და მთებში შეხიზნულიყვნენ. ბაკუნინი ამის წინააღმდეგი იყო. მას ერჩია პირისპირ შეხვედროდა მტერს და გაეთავებინა საქმე სხვისა გასამხნევებელი მაგალითით. მას ამაში მხარს უჭერდა გეიბნერი 8 მაის. როცა დიდება დრეზდენისა მიწურული იყო, მან წარმოსთქვა სიტყვა ლეიპციგიდან მოსულ დელეგატების წინაშე, რომელშიდაც იმ კაცმა, რომლის მთელი სიცოცხლე ერთი განუწყვეტელი აპოლოგია: რევოლიუციისა და რევოლიუციონური მოქმედებისა, ცხარი, სიცოცხლითა, იმედითა და ბრძოლის დაუღალავი სურვილით აღსავსე სიტყვებით განუმარტა მათ მსოფლიო მნიშვნელობა დრეზდენის აჯანყებისა და მოიწვია საბრძოლველად. ეს 8 მაის იყო. 9 მაის მთელი ნიჭი, ძალღონე და მოსაზრება ამაო გამოჩნდა, ქალაქში დარჩენა შეუძლებელი აღმოჩნდა. *) მაგრამ ბაკუნინმა არც მთებში შეხ-

---

*) შემდეგ ბაკუნინი ხშირად იმეორებდა ერთ ანეკდოტს, რომელიც მოგვყავს აქ. როცა ყოველი ძალ ღონე ლახარჯულ იქმნა და პრუსიის მხედრობა მოადგა ქალაქის კარებს, ბაკუნინმა გამოატანინა მუზეუმიდან რაფაელის მადონა და დაადებინა ქალაქის კარებს ზევით: ვნახოთ, თუ პრუსიელები გაბედავენ და დახვრეტენ ამ უძვირფასესს განძს ძველი ხელოვნებისაო. პრუსიელებმა მართლა ვერ გაბედეს რაფაელის მადონის დახვრეტა

მშვიდობიანი ცვალებადობაა, ან არა მშვიდობიანი, რევოლიუციონური. რისი ევოლიუცია, რა ევოლიუცია?—აი რა არის საკითხავი.

მაგალითად, ჟ. კ. ფოხტის ეგრედ-წოდებული პიკნოტიური თეორია, ანუ ნივთიერების გასქელების თეორია და ამ გასქელებული ნივთიერების ბრძოლა გარემოცულ ეთერთან იმგვარ და იმდენ პროცესს შეიცავს კოსმოსის სრულ ევოლიუციაში, რომ ყოვლად წარმოუდგენელია იანგარიშოს კაცმა, რამდენი პროცესსი მოხდა მშვიდობიანად და რამდენი გაჩქარებული ტემპით, უცბათ, „ძალ-დატანებით“, რევოლიუციონურად. ადამიანის ფილოგენეტიური განვითარებაც მრავალ ამგვარ პროცესსთაგან შესდგება,—მშვიდობიანთაგან და რევოლიუციონურთაგან. მისი ონტეგენეტიური განვითარება კი რევოლიუციონურად მთავრდება,—ბავშვი იბადება რამოდენიმე წუთის განმავლობაში „ძალ-დატანებით“, თუმცა შთანაჩენის განვითარება მშვიდობიანი იყო.—პროფესსორი მეჩნიკოვი ამტკიცებს, რომ სიკვდილი ყოველთვის „ძალ-დატანებითია“,—რევოლიუციონური, ვიტყვით ჩვენ, თუმცა ადამიანის სიბერის პროცესსი ნელა, შეუმჩნევლად ხდება. სამაგიეროდ გუსტავ ლებონის თეორია მატერიის დისსოციაციისა, მატერიის ევოლიუციისა, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ მატერია ერთი ფორმაა ენერეიისა და ეხლა მუდამ დისსოციაციის პროცესსში იმყოფება,—(ამითი ხსნის ის რადის მოვლენას, რომელსაც ყველა ნივთიერებას აწერს, მაგრამ მისი აზრით ნაკლები ხარისხით ხდება ეს დისსოციაცია სხვა ნივთიერებაში) ისეთი ნელი პროცესსის თეორიაა, რომ ყოვლად შეუძლებელია ამ თეორიიდან გამომდინარებულ ქიმიკურ სახეთა ცვალებადობის ჰიპოტეზაში რაიმე მსწრაფლი, „ძალ-დატანებითი“, რევოლიუციონური პროცესსი იღებდეს მონაწილეობას.

ასე რომ, რევოლიუცია ნაწილია ევოლიუციისა. მათი დაპირდაპირება არ შეიძლება, როგორც ერთი მთლიანისა მისი ნაწილისა. ევოლიუცია შეიძლება, როგორც ნელი პროცესსი, ევოლიუცია შეიძლება დამთავრდეს რევოლიუციით,—და თვით ევოლიუციის ნაწილს,—რევოლიუციას,—რატომ არ შეგვიძლია ვუწოდოთ აგრეთვე ევოლიუცია,—ესეც ხომ თანდათანი პროცესსია მოვლენის განვითარებისა, აქაც ხომ იცვლება მოვლენა, მხოლოდ დროის შემოკლება უფრო თვალსაჩინოდ ხდება ამ მოკლე პროცესსში?

ადამიანთა ცხოვრების მოვლენანი იგივე ბუნების მოვლენანი არიან; ისინი ვერ ასცილდებიან ევოლიუციას, რადგანაც როგორც სხვა ბუნების მოვლენანი, ისინიც ნაყოფნი არიან სხვა და სხვა ძალთა მოქმედებისა. ამ მხრით, ამ საზოგადო აზრით ადამიანთა საზოგადოების განვითარება ევოლიუციონურად ხდება. მაგრამ როგორც ბუნების სხვა მოვლენათა, ადამიანთა საზოგადოების ევოლიუციაც აგრეთვე არ შეიძლება იყოს უსათუოდ მშვიდობიანი, უსათუოდ ძალადაუტანებელი, უსათუოდ არა-რევოლიუციონური. პროცესსი მისი განვითარებისა, მისი ტრანსფორმაციისა, იმისაგან არის დამოკიდებული, თუ როგორმა ძალებმა, ენერგიის როგორი ხასიათის მოქმედებამ შეჰქმნა ესა თუ ის საზოგადოებრივი ფორმა. საკითხავი ის არას, შესდგა თუ არა ესე თუ ის ფორმა საზოგადოებისა, რომელსაც დანგრევა უნდა, რომლის ტრანსფორმაციაც აუცილებელი გამხდარა,—იმგვარ პირობათა ზედგავლენით, რომ ეს ტრანსფორმაცია მოხდეს მშვიდობიანად, ან ძალდატანებით, რევოლიუციონურად? კითხვა ასე უნდა იქმნას დაყენებული, უნდა გამოკვლეულ იქმნან ამ საზოგადოებრივი ფორმის შემადგენელი წარსული პირობები, აგრეთვე ხასიათი და შინაარსი თვით ამ განსაზღვრულ მო-

---

ზენა ისურვა. ბორნის აზრის წინააღმდეგ მან თავის მოკავშირეებით გადიარა ხენმიცში, საიდგანაც ის მოძრაობის გაგძელებას აპირებდა, მაგრამ საუბედუროთ ის 10 მაისს შეპყრობილ იქნა. ოფიცერი, რომელსაც შეპყრობილი ბაკუნინი მიჰყავდა, მოგვითხრობს, რომ ყოფა ქცევა ბაკუნინისა სავსე იყო ღირსებულებითაო და თან გადმოგვცა ფრაზა, რონელსაც ბაკუნინი ხშირად იმეორებდა: „Въ политикѣ успѣхъ рѣшаетъ, что есть великое дѣло и что преступленіе“.

დრეზდენის რევოლიუციამ დიდებულჰყო ბაკუნინის სახელი, რომელიც ამიერიდგან დაუვიწყარი შეიქნა მთელი კაცობრიობის ისტორიისათვის. ბაკუნინს რომ სხვა არავითარი როლი არ ეთამაშნა ცხოვრებაში გარდა იმ როლისა, რომელიც მან ითამაშა დრეზდენის რევოლიუციაში, ისიც საკმარისი იქნებოდა ერთი კაცის დიდებისათვის. 1849 წ. აგვისტოდან მოკიდებული 1850 წ. მაისამდე ბაკუნინი ციხეში იჯდა გერმანიაში, სადაც სამხედრო სასამართლომ მას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, მაგრამ ეს განჩინება არ იქმნა სისრულეში მოყვანილი, იმ ამნისტიის ძალით, რომელიც გამოსცა მეფე იანე პირველმა ტახტზედ ასვლის დროს. მაშინ ბაკუნინი გერმანიიდგან ავსტრიამ მოითხოვა, რადგან ავსტრიაშიც ჰქონდა მას ჩადენილი „მძიმე დანაშაულობანი“. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ ბაკუნინის მონაწილეობა პრაგის აჯანყებაში. სწორედ ამ „დანაშაულობისთვის“ დასასჯელად თხოულობდა ავსტრია ბაკუნინს. ამას გარდა ავსტრიის მთავრობას უნდოდა რამე გამოეტყუებნა მისთვის სლავიანთა მოძრაობის შესახებ. რა თქმა უნდა, გამოტყუებით ბაკუნინს იქ ვერაფერი გამოსტყუეს. წამებაც ვერ გაბედეს, მაგრამ ვითომ იმ სა[illegible]ს, რომ ბაკუნინი გაქცევას აპირებდაო, ის გადაიყვანეს ოლმუცის სიმაგრეში და იქ სველ, ნესტიან ქვითკირის კედლებზე მიაკრეს უზარმაზარი ჯაჭვებით (მარტი 1851 წ.) ამ ნაირ მდგომარეობაში იყო ექვსი თვე. ბაკუნინს ავსტრიაშიც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, მაგრამ არც აქ იქნა მოყვანილი სისრულეში ეს გადაწყვეტილება, რადგან ეხლა რუსეთმა მოითხოვა ის, როგორც თავის ქვეშევრდომი. ,,რუსეთის საზღვარზე, მოგვითხრობს გერცენი,*) ბაკუნინს ჯაჭვები მოხსნეს და ამ გულკეთილობის გამოჩენაზე ლაპარაკი არა ერთხელ გამიგონია. მართალია მას ჯაჭვები მოხსნეს, მაგრამ ავიწყდებათ იმის თქმა, რომ მას სხვა ჯაჭვები და კიდევ უფრო მძიმე, დაადვეს. ოფიცერმა, რომელმაც რუსეთს გადასცა ტყვე, ჯაჭვები უკან მოითხოვა, როგორც სახაზინო ქონება. ნიკოლოზმა შეაქო ბაკუნინის გმირული ყოფაქცევა დრეზდენში და ჩააჯდინა „ალექსეევის რაველინში“ იქ მიგზავნა ორლოვი და მოსთხოვა მოხსენება (записка) გერმანელ და სლავიანურ მოძრაობის შესახებ. ბაკუნინმა დასწერა...ნიკოლოზი დაკმაყოფილდა... „ის ჭკვიანი და კარგი კაცია, მაგრამ საშიში კაცია საჭიროა, რომ ის დამწყდეული იყოსო“. როცა შემდეგ ალექსანდრე მეორემ წაიკითხა ეს მოხსენება, მრისხანებითა სთქვა ბაკუნინზე: „მე აქ მონაწილეობის კვალსაც არ ვხედავო“. 1851 წ. მოკიდებუ-

---

და ბაკუნინმა ამასობაში დრო მოიგო. „თუ მადონას სიკოცხლეში არ უქნია სასწავლი, ხუმრობით ამბობდა ის შემდეგ, მისმა სურათმა ხომ მაინც ჰქნა ერთი სასწაულიო“.

*) Сборникъ посмертныхъ статей.

მენტში არსებული საზოგადოებისა, და მაშინ ადვილი იქნება გამონგარიშება, თუ როგორი იქმნება პროცესსი მისი ტრანსფორმაციისა. საქმე ის კი არ არის,—დანგრევის რომელი წესია სასურველი, არამედ ის,—როგორი წესია აუცილებელი, რადგანაც დეტერმინისტული ფილოსოფია ყველა ბუნების მოვლენებში გვასწავლის, რომ ყოველივე მოვლენა, ყოველივე ბუნების კანონიც პირობითია:—თუ ეს და ეს, განსაზღვრული ხასიათის მოვლენანი წინ უძღოდენ და შეჰქმნეს ესა თუ ის მოვლენა—მისი თავიდან ასაცილებლად აგრეთვე განსაზღვრული მოვლენანი, განსაზღვრული პირობანი არიან აუცილებელი საჭირონი.

გადავავლოთ თვალი,—როგორი იყო კაცობრიობის ევოლიუცია, როგორია დღეს მისი მდგომარეობა და როგორი იდეალი აქვს მას, როგორი იდეალი აქვს დასახული მისს უდიდესს, უენერგიულესსა და უუსაჭიროესს ნაწილს,—მუშათა კლასს,—და ეს გათვალისწინება ნათლად დაგვანახვებს რევოლიუციის ლოღიკურ კავშირსაც კაცობრიობისა და მუშათა კლასის იდეალთან, მთელი კაცობრიობის მისწრაფებასთან და აგრეთვე იმ აუცილებლობას, რომელმაც აიძულა მუშათა კლასსი სწორედ რევოლიუციონური საშუალებანი შეემუშავებინა ბრძოლისა. თუ ევოლიუციაზედ წავიდა საქმე, ადვილი დასამტკიცებელია, რომ სწორედ თვით კაცობრიობის ევოლიუციამ, მუშათა კლასსის ბრძოლისა და იდეათა ევოლიუციამ შეჰქმნა მისი ბრძოლის რევოლიუციონური მეთოდიც, რადგანაც ეს ევოლიუცია იმგვარი იყო, იმგვარ პირობებში ხდებოდა საზოგადოებრივ ფორმათა განვითარება, რომ სხვანაირ საშუალებათა შემუშავება შეუძლებელი იყო.

ეხლა დამტკიცებულ ფაქტად მიაჩნიათ ადამიანის ფილოგენიეტიური განვითარების პირობათა შემსწავლელებს, რომ სწორედ სახის შენახვის აუცილებლობის მოქმედებამ, განსაზღვრულმა „ევოლიუციამ“ მიიყვანა ადამიანიც სხვა ცხოველთა შორის საზოგადოებრივი ცხოვრების წესის შემოღებამდე. და ამ საზოგადოებრივ ცხოვრებას დიდი მნიშვნელობა და დიდი აზრი აქვს, დიდი განწყობილება საზოგადოდ ბუნების კანონებთან,—იგი ენერგიის მსოფლიო მოქმედების ნაწილია, მისი გამომხატველი საზოგადოდ მრავლის უმრავლეს არსთა შორის *), ორგანიულ არსთა შორის, ცხოველთა შორის და განსაკუთრებით ადამიანთა შორის. ცხოველთა და ადამიანის სახეთა შენახვის კანონი უმეტეს ნაწილად გამოიხატება სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრების წესის არსებობაში, რადგანაც ეს უკანასკნელი პირდაპირი ეკონომიაა ინდივიდუალურ ენერგიათა, რადგანაც,—კიდევ მრავალჯერ განვიმეორებთ ჩვენ ფორმულას,—მინიმუმი ინდივიდუალური ენერგიის ხარჯვისა და მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა,—აი რა უნდა იყოს პირობა სახის შენახვისა, და ეს პრინციპი ხორციელდება მხოლოდ საზოგადოებაში, ინდივიდუალურ ენერგიათა კოორდინაციით*).

თავისუფალი კომმუნიზმი ყველაზედ უკეთესი ფორმაა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, რომელიც ახორციელებს საზოგადოებრივობის პრინციპს. ამიტომაც პირველი, ბუნებრივი ფორმა საზოგადოებისა იყო კომმუნისტური, სადაც საურთიერთო დახმარება, ველურ პირობებში შესაძლებელი თავსუფლება და თანასწორობა იყო უმთავრესი დამახასიათებელი მხარე პირველ-ყოფილი საზოგადოებისა, და განხორციელებული პრინციპი ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიისა.

*) იხ. ჩვენი „კანონი“ „ნობათის“ ნომრებში.

**) იხ. ჩვენი წერილი მოამბეში: „ბრძოლა არსებობისათვის და საზოგადოებრივი პრინციპი“.

---

ლი 1854 წ. დამლევამდე ბაკუნინი პეტრე და პავლეს ციხეში იჯდა. 1854 წლიდან 1859 წლამდე შლისსენბურგში, შემდეგ გაგზავნილ იქმნა ჯერ დასავლეთ ციმბირში, მეორეთ კი აღმოსავლეთისაში. ამ გვარად ბაკუნინმა 9 წელაწადი გაატარა ციხეში, საშინელ პირობებში. განსაკუთრებით ავსტრიის ციხე საშინელი იყო გიგიენის მხრივ და იმ აზიურ პირობებით, რომელნიც იქ მეფობდნენ. მიუხედავად ამისა ის არ მოდრეკილა, არ დამარცხებულა, ძველებურად სავსე იყო სიცოცხლით და მოქმედების სურვილით.

ციმბირის გუბერნატორად მის ბედზე იყო მურავიევ-ამურსკი, რომელიც მისი ნათესავი იყო და რომელმაც, ამნათესაობის გრძნობით ხელმძღვანილმა, ხელი შეუწყო მას და შეღავათი მასცა რაც შეიძლება კარგად მოეწყო მისი საქმეები. არც სახარჯო ფულის მხრივ იყო აქ გაჭირებული ბაკუნინი და ამასთანავე დაუბრკოლებელი მიწერ მოწერა ჰქონდა თავის მეგობრებთან, განსაკუთრებით გერცენთან, რომელიც ამ დროს უკვე სცემდა თავის „Колоколъ“-ს, დაუბრკოლებლად იღებდა წიგნებს და გაზეთებს. ერთი სიტყვით რაც შეიძლება კარგი პირობები იყო, მაგრამ ტყვეობა მაინც ტყვეობაა, მაინც ტყვე და წვალებულია ლომი, თუნდ გალია, რომელშიდაც ის არის დამწყდეული, ოქროსიც იყოს. ამისათვის ბაკუნინი სულ მუდამ ფიქრობდა იმაზე, თუ როგორ მოეხერხებინა ციმბირიდან გაქცევა.

**მეორედ მოგზაურობა ბაკუნინისა ევროპაში.**

1861 წელს ბაკუნინი გაიქცა ციმბირიდან იაპონიაში.

მოამზადა რა რაც იყო საჭირო, ბაკუნინი ჩაჯდა გემში და გაუდგა გზას ნიკოლაევსკისაკენ, ვითომ და აღმოსავლეთ ციმბირის პორტების სარევიზოთ. ცნობით მას ყველა იცნობდა, მაგრამ მისი გაჩერება თავში არავის არ მოსდიოდა. ისე ღიად და გაბედულად იქცეოდა ბაკუნინი, თითქო მართლა პორტების სარევიზოთ ყოფილიყოს გაგზავნილი. მოვიდა ნიკოლაევსკში და აქედგან მან გადიარა ხოკოდატეში, სადაც ის შემთხვევით მოხვდა სადილზე, რომელიც იქ რუსეთის კონსულის პატივსაცემლათ გაემართათ. პორტში კი ადმირალი პოპოვის ფლოტი იდგა, რომელიც ნიკოლაევსკში აპირებდა წასვლას. სადილის დროს კონსულმა ბაკუნინს ჰკითხა: თქვენ ჩვენებთან ერთად დაბრუნდებით არა? არა, მიუგო ბაკუნინმა, მე ეს არის მოველი და მინდა ჯერ დავათვალიერო აქაურობა. კონსულმა რა იცოდა რა ჰქონდა გულში ბაკუნინს ან თუ მისი „რევიზია“ მოგონილი იყო. ბაკუნინი ხოკოდატედგან სანფრანცისკოში წავიდა, იქიდან ლონდონში. გზაზე სულ $4^1/_2$ თვე დასჭირდა ბაკუნინს, ასე რომ სივრცით მისი გაგცევა პირველია მთელ სარევოლიუციო ისტორიაში.

ამოვიდა თუ არა ლონდონში ბაკუნინი, მაშინვე შეუდგა საქმეს. კიდევ გზიდან ის სწერდა გერცენსა და ოგარევს: „ძვირფასო მეგობრებო, მთელი ჩემი არსებით მოვისწრაფვი თქვენკენ და მოსვლისთანავე შევუდგები საქმეს. ვიმუშავებ თქვენთან პოლონურ და სლავიანურ კითხვათა შესახებ, რომელიც ჩემ ideè fixe-ად გახდა 1846 წლიდან და ჩემ პრაქტიკულ სპეციალობათ 1848 და 1849 წ. დამხობა, საბოლოოთ დამხობა ავსტრიის იმპერიისა იქნება ჩემი უკანასკნელი სიტყვა. არ ვამბობ ჩემი უკანასკნელი საქმე იქნება მეთქი, რადგან ეს თავხედობა იქნება.“ ბაკუნინი იმდენი ტანჯვისა და ვაი-ვაგლახის გამოვლის შემდეგ იგივე დაუღალავი, მოუ-

შემდეგ, როცა საზოგადოება დაიყო კლასსებად, როცა გაჩნდა ერთის მხრივ მშრომელი და მეორეს მხრით ნაწარმოების უშრომლად მიმთვისებელი, ერთის მხრით ბატონი და მეორეს მხრით მონა,—და ხანგრძლივი იყო ამგვარ საზოგადოებათა წარმოშობა, აგრეთვე მრავალი იყო მიზეზი მათი შექმნისა და აღორძინებისა, *)—როდესაც აღორძინდენ კლასსებრივი საზოგადოებანი, რომელნიც ძალ-დატანებაზედ იყვნენ დამყარებულნი, როგორც განსაზღვრული ფორმანი კლასსებრივი საზოგადოებისა,—მაშინ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ვეღარ აკმაყოფილებდა ინდივიდს, რომლისთვისაც შეიქმნა თავდაპირველად საზოგადოებრივი წესი ცხოვრებისა,—მაშინ პრინციპი ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიისა არ ხორციელდებოდა საზოგადოებაში, და მშრომელი ნაწილიც საზოგადოებათა სცდილობდა ყოველთვის დაენგრია აუტანელი ფორმა საზოგადოებისა, შეექმნა ძველი, ან ახალი, უმჯობესი ფორმა საზოგადოებისა, იმავე საზოგადოებრივ პრინციპზედ დამყარებული,—პიროვნულ ძალთა ეკონომიის პრინციპზედ. ეს მოვლენა ახასიათებდა და ახასიათებს მონობისა, ფეოდალიზმისა, და აგრეთვე თანამედროვე კაპიტალიზმის ისტორიას.

და რადგანაც ძალ-დატანებას,—ერთი კომმუნის მეორეზედ ომით გალაშქრებას, სარწმუნოებრივ ბატონობას და მასზედ აშენებულ ძალ-დატანებას, კერძო საკუთრების წარმოშობას და მასზედ აშენებულ ეკონომიურ ჯგუფთა შორის ბრძოლას და ერთის მიერ მეორის ძალით დამონებას,—ძლიერი როლი უთამაშნია ამგვარ კლასსიურ საზოგადოების შექმნაში, ამიტომაც ბატონობა ეკონომიურად და პოლიტიკურად მმართველ კლასსთა პირდაპირ გამოიხატა საშინელ ძალ-დამტანებელ ორგანიზაციაში,—განსაკუთრებით სახელმწიფოებში, რომლის შინაარსი და ესსენცია პირდაპირ ძალ-მომრეობა და იარაღით ძალ-დატანებაა აუარებელ მწარმოებელთა—არჩინონ თავისი შრომით არა-მწარმოებელნი და დაემორჩილონ მათ.

ამგვარად სდგებოდენ და არსებობენ ეხლაც ძალ-დამტანებელი ორგანიზაციანი საზოგადოებისა, რომელთა ევოლიუცია სწორედ იმგვარ ძალების მიერ იყო გამოწვეული, იმგვარ პირობებში მსვლელობდა, რომ მისი ფორმაც არ შეიძლებოდა რომ არ ყოფილიყო შინაარსით ძალ-დატანებითი და უხეშ, შეიარაღებულ ძალაზედ დამყარებული.

და მთელი კაცობრიობის ისტორია უძველეს დროიდან თანამედროვე კაპიტალიზმამდის გამოიხატება უმთავრესად ამ ძალ-დამტანებელ დაწესებულებათა და ამხედრებულ მწარმოებელთა შორის ბრძოლაში. ერთი ნაწილი ამხედრებულთა ძველ საურთი-ერთო დამხმარებელ, კომმუნისტურ ან მსგავს დაწესებულებათა დაბრუნებას სცდილობდა, ზოგი,— და საუკეთესო ნაწილი, —ახალ, საუკეთესო დაწესებულებათა შექმნას, ზოგიც აჯანყებით სარგებლობდა ხოლმე და სცდილობდა კიდევ უფრო გაეძლიერებია თავისი სიმდიდრე და ბატონობა აუარებელ მშრომელთა დაჩაგვრით (ეს აზრი გამოსთქვა კროპოტკინმა თავის შესანიშნაშრომაში: the Mutual Aid, as a factor of Evolution). და ბრძოლა ყოველთვის ძალ-დატანებითი იყო ხოლმე, რადგანაც, როგორც არა ვსთქვით, დასანგრევი დაწესებულებანი ძალ-დატანებაზედ იყვნენ დამყარებულნი, და ამ ბრძოლის შინაარსი და მიზანი ამ ძალდამტანებელ დაწესებულებათა დანგრევაში, და ახალ, საურთიერთო დამხმარებელ, კომმუნისტურ დაწესებულებათა შექმნაში გამოიხატებოდა.

ეს იყო ის ბრძოლა, აუცილებლად ძალ-დატანებითი ბრძო-

*) აქ ბ. „მეცნიერი“ ლეო საყვედურს გვეტყვის, რატომ მთელი კაცობრიობის ისტორია არ მოვყევით, მაგრამ იმისთანა „მეცნიერს,“ რომელსაც წერილის საგანი ვერ გაუგია ხოლმე, რა უნდა ელაპარაკო.

სვენარი სარევოლიუციო მომქმედი იყო, რომელიც ჩვენ გავიცანით, როცა პრაგისა და დრეზდენის აჯანყებებზე ვილაპარაკეთ. გერცენის „Колоколъ“-ში მან სარევოლიუციო სული შეიტანა. ის შეეცადა, რომ მათ გამორკვეული ფიზიონომია მიეღოთ, გაბედული სიტყვა ეთქვათ. „პროპაგანდა, წყენისა დაცოტა დაცინვის კილოთი ამბობს გერცენი, მას საკმარისად აღარ მიაჩნდა. საჭირო იყო დაუყონებლივ ცხოვრებაში განხორციელება, საჭირო იყო ცენტრები, კომიტეტები, საჭირო იყო დაახლოვებული და დაშორებული კაცები, საჭირო იყო „საქმის შიგნით“ და „საქმის გარე მდგომი ძმები“, საჭირო იყო ორგანიზაცია მხარეში—სლავიანური ორგანიზაცია, პოლონური ორგანიზაცია“. დიახ, ასეთი სწორედ ასეთი იყო ბაკუნინი. მას ლაპარაკი საქმედ არ მიაჩნდა, მისი აზრით ყოველი სიტყვის საქმედ გადაქცევა იყო საჭირო. გერცენი კი უფრო ლიტერატორი იყო და მას ეგონა მხოლოდ მოქმედებაზედ ლამაზი სტილით წერა საკმარისი იყო. საზოგადოთ ბაკუნინი, როგორც აზრების მხრივ, ისე მოქმედების მხრივ რადიკალი იყო და არც თავის რადიკალობისა ეშინოდა, მის სიტყვასა და საქმესა შორის სრული ერთობა სუფევდა. ამ მხრივ მან დიდი გავლენა იქონია გერცენზე და ოგარევზე და, მაშასადამე, Колоколъ-ზეც. განსაკუთრებით დიდი გავლენა იქონია მათზე პოლონურ კითხვის გადაჭრის საქმეში. „ბაკუნინის მოსვლამდე მათი მონაწილეობა პოლონეთის მოძრაობაში იმით იფარგლებოდა, რომ ისინი სიმპატიას უცხადებდენ პოლონელებს, ბაკუნინი კი საქმეს და ფართო პოლიტიკურ მოქმედებას თხოულობდა. ის თხოულობდა აგრეთვე რომ პრაქტიკული დახმარება აღმოეჩინათ პოლონელებისათვის. მან კარგად იცოდა ნაკლულევანება პოლონელებისა, მაგრამ ის მაინც იყო ძლიერ განვითარებული პოლიტიკური ჭკუისა, რაც აძლევდა მას ხელი შეეწყო პოლონელებისათვის თავისუფლებისათვის ბრძოლაში არა მარტო სამართლიანობის მიხედვით, არამედ თვით რუსეთის ხალხის კარგად შეგნებული ინტერესების მიხედვით“.*) აი ნიმუში ბაკუნინის პოლონელებზე შეხედულებისა: „როგორც მართლ-მორწმუნე ებრაელები, ამბობს იგი, რომელნიც დარწმუნებულნი არიან, რომ იმისთვის კი არ იღუპვიან, რომ ებრაელებად რჩებიან, არამედ იმისთვის რომ ძალიან სუსტად იცავენ თავისას, ისე იმათ (პოლონელებმა) დაირწმუნეს თავი, რომ არა კათოლიციზმი, არა ებრაულ-პოლონური განკერძოება, არამედ არა საკმარისი თავდადება კათოლიციზმისათვის და არა საკმარისი ნაციონალური განკერძოება ჰკლავს მათ. ნუ დავსდებთ მაინც და მაინც ბრალს პოლონელებს ამისათვის, უკეთესია შევიცოდვოთ ისინი. ამას გარდა ჩვენ, რუსებს არ შეგვფერის მათი განსაჯვა. ჩვენ ჩვენი ხელებით დავხურეთ ყველა პოლონური უნივერსიტეტები, სკოლები და დაუხშეთ მათ სახსარი განათლებისა. ჩვენ ისინი დავახჩვეთ და ნაწილად კიდეც მივჰყიდეთ გერმანელებს და ამით ჩავაყენეთ ისეთ საშინელ მდგომარეობაში, რომელშიდაც ყოველ გვარი ნაციონალური ideé fixe, ავადმყოფი მგძნობიარობა, გამოუვალი გულჩახვეულობა, აუცილებელნი შეიქნენ, თუმცა ყველა ეს დამღუპველია. მხოლოდ ის არის ჯან მთელი, ძლიერი და ჰკვიანი, ვისაც შეუძლია თავის თავი დაივიწყოს. თავის თავზე ფიქრი და ზრუნვა შეიქნა უფლება

*) Кульчицкій. ნახსენები ბროშურა გვ. 15.

ლო, რომელსაც ჩვენ **რევოლიუციას** ვეძახით, რომლის ხასიათიც განისაზღვრება იმ დაწესებულებათა ხასიათით, რომელთა დასაქცევადაც ის გაეშურება ხოლმე. როდესაც ესა თუ ის დაწესებულება ძალ-დატანებაზედ არ არის დამყარებული,— მაშინ მისი მოსპობა რევოლიუციით, ძალ-დატანებით არ არის აუცილებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი რევოლიუცია აუცილებლად ძალ-დატანებითი უნდა იყოს. ამიტომაც არის აბსურდი სიტყვა—„მშვიდობიანი რევოლიუცია“.—იგი ისტორიული აბსურდია, სხვა არა იყო, რა.

ეს საუკუნო მისწრაფება იმგვარ საზოგადოების მოწყობისადმი, სადაც ინდივიდუალურ ძალთა ეკონომია ყოფილიყოს,—ეს საუკუნო მისწრაფება იყო შინაარსი კაცობრიობის ისტორიისა.

ეს მუდმივი იდეალი იმგვარ საზოგადოების შექმნისა, რომელიც ნამდვილი მცველი და განმავითარებელი ყოფილიყოს ინდივიდის ყველა ძალთა,—ეს იდეალი ამოძრავებდა კაცობრიობას და ამოძრავებს ეხლაც. და რადგანაც კომმუნიზმი და ანარხია საუკეთესო ეკონომიური და პოლიტიკური ფორმებია ამ იდეალური საზოგადოების დამყარებისა,—ამიტომაც ემჩნევა კაცობრიობასა და თანამედროვე მუშათა კლასსაც კომმუნისტური და ანარხიული ტენდენცია.

და რადგანაც აგრეთვე ამ იდეალის განხორციელებას წინ ელობებოდნენ ძალ-დატანებითი ელემენტები, ამიტომაც ბრძოლა, რევოლიუციები ყოველთვის ძალ-დამტანებელი იყო წარსულში, და ეხლაც მუშათა კლასსი იძულებულია, ძალ-დატანებით, რევოლიუციონურ ბრძოლის მეთოდებს მიმართოს, რადგანაც სახელმწიფო, მისი იდეალის განხორციელების ხელის შემშლელი, ძალ-დატანებით დახასიათდება, განამტკიცებს რა კაპიტალიზმს ცეცხლითა და მახვილითა.

ისტორიას წითელი ზოლივით ევლება როგორც მისწრაფება ხალხისა კომმუნიზმისაკენ და ანარხიისაკენ, ისე ძალ-დატანებითი რევოლიუციონური ბრძოლა.

ამგვარი მაგალითებით სავსეა საბერძნეთ-რომის ისტორია, ფეოდალიზმის ისტორია, ისტორია განახლებისა, საფრანგეთის დიდი რევოლიუცია და თანამედროვე მუშათა კლასსის ისტორია. მთელი თანამედროვე სოციალიზმი ერთი მომენტია ამ დიადი ბრძოლისა, რომელიც უნდა დამთავრდეს დიდი სოციალური რევოლიუციით, ღრმა სოციალური ტრანსფორმაციით, და მუშათა კლასსი ეხლა,—სწორედ ამ თავისი იდეალისა და თანამედროვე საზოგადოების ხასიათის მიხედვით იმუშავებს თავის ბრძოლის ტაქტიკასაც.

თუ ძველად საბერძნეთისა და რომის მონები იარაღით ხელში ომობდენ ბატონთა წინააღმდეგ,—ეს იმიტომ, რომ საზოგადოებრივი ევოლიუციის შედეგი მაშინ მონობაში გამოიხატა და ეს მონობა ძალ-დატანებით, იარაღით იყო განმტკიცებული.

თუ ფეოდალურ ხანაში გლეხები და მუშები იარაღით ებრძოდენ მემამულეებსა, მეფეებსა, თავადებსა და ეპისკოპოსებს,—ამის მიზეზიც ის იყო, რომ ფეოდალური სისტემის შექმნაში დიდი როლი ითამაშა ძალ-დატანებამ და ბატონ-ყმობა იარაღით იყო განმტკიცებული.

თუ დღეს თანამედროვე კაპიტალიზმის წინააღმდეგ იარაღით ბრძოლაა საჭირო, თუ კაპიტალიზმის მოსპობა შესაძლებელია მხოლოდ ძალდატანებითი რევოლიუციით,—და მარტო ძალდატანებითი რევოლიუციით,—ამისი მიზეზიც ის არის, რომ თანამედროვე კაპიტალიზმთან ერთად განვითარდა თანამედროვე სახელმწიფო, ისინი ორი ერთ-არსება და განუყოფელნი პირნი არიან, შესისხლხორცებულნი ისე, რომ ერთის

---

პოლონელებისა. ნაციას, ისე როგორც კერძო ინდივიდს, თვით ცხოვრებით პროცესს მონელებისას და სულთქმისასა მხოლოდ მაშინ აქვთ ეს უფლება, როცა ეს მათი უფლება უარ იყოფის. ამისათვისაა რომ ყველა დაჩაგრული ხალხოსნობა: პოლონელები, იტალიელები, ვენგრიელები ბუნებრივად და სრულსად სამართლიანად ყოვლის უმალ აყენებენ ხალხოსნობის (національность—ნაციონალობის) პრინციპს. ჩვენ რუსები, შეიძლება იმავე მიზეზის გამო, ცოტას ვზრუნავთ ჩვენ ხალხოსნობაზე და გზას უხვევთ მას უფრო საზოგადო საქმეებში *). **მიუხედავათ ამისა ეს უფლება მავნე და საშიში ავადმყოფობაა** **). დავიწყოთ ლაპარაკი პოლონელთან გიოტეს შესახებ და პოლონელი მაშინვე გეტყვის, თუ რა დიადი პოეტი იყო მიცკევიჩი, ვილაპარაკოთ ჰეგელზე, პოლონელი მაშინვე მოჰყვება ლაპარაკს დიდებულ პოლონელთა ფილოსოფოს ტრანტოვსკიზე და დიდებულ ფილოსოფოს-ეკონომისტზე—ცეშკოვსკიზე. ღუპავსთ მათ ავადყოფური ნაციონალური თავის ქება, რომელიც ვერაფერი მანუგეშეა მათ კრიტიკულ მდგომარეობისათვის. იმის მაგიერ რომ წინ გაიხედონ, ისინი უკან იხედებიან, სადაც სიკვდილს გარდა ვერაფერს ჰპოვებენ. იმის მაგიერ, რომ განაახლონ თავიანთი ნაციონალური ცხოვრება მთელ მსოფლიოსთან ურთიერთობით, ისინი შორდებიან მას და, როგორც ებრაელნი, თავს იწონებენ რაღაც მისტიური მისსიით. ეს ურიობა მათ დაღუპავს, თუ ჩვენ, სლავიანებმა, ყველაზე უფრო ჩვენ, რუსებმა არ გამოვარკვიეთ ისინი ავადმყოფურ თვითოცნებობისაგან. ვიმეორებ, ჩვენ რუსები რბილი და სამართლიანი უნდა ვიყოთ მათდამი. უნდათ თუ არ უნდათ მათ, ჩვენ მაინც ჩვენი საერთო ხსნისათვის უნდა დაუძმობილდეთ და შეურიგდეთ მათ“.

„მაშასადამე, ამბობს კულჩიცკი *), ბაკუნინი ამართლებდა პოლონელების ზოგიერთ ნაკლულევანებას და არც მათდამი სიმპატიასა ჰკარგავდა“. მართლაც, რაკი ბაკუნინი დაბინავდა ლონდონში საშინელი სიმუყაითით შეუდგა პოლონურ საქმეს, მის მოწესრიგებას და პრაქტიკულ განხორციელებას. მისი თაოსნობით მოხდა მოლაპარაკება პოლონელ დელეგატთა და Колоколъ-ს შორის და შემდეგ ის შეუდგა პოლონეთში წასასვლელ ექსპედიციის შექმნას. ამ აზრით წავიდა შვეციაში, ინახულა სხვა და სხვა პარტიების წარმომადგენლები, ინახულა მეფის ძმაც. მაგრამ ეს ექსპედიცია არ მოეწყო. ბაკუნინს უნდოდა ფინლანდია აეყენებინა რუსეთის წინააალმდეგ და შვეციაც ჩაერია საქმეში. ამასობაში რუსეთის ლიბერალურმა წრემ, რომელიც იყო ნიადაგი გერცენის გავლენისა, გაიცნო ის ცვლილება, რომელიც მოხდა Колоколъ-ში ბაკუნინის ზეგავლენით, გაიგო, რომ აქ მარტო სიმპატიაზე და სიტყვების ბრახა-ბრუხზე აღარ არის საქმე, რომ პოლონურმა კითხვამ მწვავე პრაქტიკული კითხვის ხასიათი მიიღო და... შეშინდა და... ნელნელა ჩამოშორდა ბაკუნინის მიერ „გარევოლიუციენერებულ“ Колоколъ-ს. გერცენს ეს საწყენად დაურჩა, მას ალბად მხდალ, ლაჩარ ლიბერალთა

**) ხაზს ჩვენ უსვამთ. კ. ო.

*) ეხლა ეს ასე აღარ არის.

*) მისი სტატიის (М. Б. и польское дѣло) თითქმის ყოველი ფურცლიდან ეს დასკვნა გამოდის.

მოსპობა ყოვლად შეუძლებელია თუ მეორესთან არ მოგიხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და რადგანაც თანამედროვე სახელმწიფო დახასიათდება ჯარით, პოლიციით და ძალ-დამტანებელი დაწესებულებებით, რომელიც არაფერს არ ზოგავს მოწინააღმდეგე ხალხური ძალის გასანადგურებლად, ამიტომ ხალხმაც იგივე ძალ-დატანება უნდა იხმაროს რევოლიუციის დროს,—თოფი, ზარბაზანი, ყუმბარა და სხვ. მაგალითები:—ყველა რევოლიუციები თუგინდ მე-XIX საუკუნისა და განსაკუთრებით ჩვენ თვალ-წინ მქუხარე რუსეთის დიდი რევოლიუცია.

თანამედროვე სახელმწიფო კაპიტალიზმთან ერთად მთელი ხუთი საუკუნის განმავლობაში სდგებოდა ძალ-დატანებით,—იარაღით გლეხების ხოცვით, მათი მიწის დასაკუთრებით მმართველ კლასსთა სასარგებლოდ, ქალაქის მუშათა კავშირთა დევნითა და მოსპობით, ჯარისა და პოლიციის გაძლიერებით, მთელ მილიონ ხალხთა ტანჯვითა და წამებით. და ეს სისტემა, ეს ხუთი საუკუნის განმავლობაში მოგროვილი ტალახი, საზიზღარი ძალ-დატანება, ხალხთა დამონება მაშ რითი უნდა დაინგრეს, თუ არა ძალ-მომრეობით, რომელმაც ხალხის სიღრმიდან უნდა აღმოხეთქოს?

თანამედროვე კაპიტალიზმისა და სახელმწიფოს „ევოლიუციაც“ ისეთი იყო, რომ მასში ძალდატანება თამაშობდა ძლიერ როლს, და ამიტომაც მათ დანგრევაში რევოლიუციონურმა ძალდატანებამ უნდა მიიღოს უმთავრესი მონაწილეობა.

და როდესაც მუშათა კლასსმა უკვე გამოირკვია თავისი იდეალი,—სრული კომმუნიზმი და სრული თავისუფლება,—როდესაც მან დაინახა, რომ ეს კომმუნიზმი და თავისუფლება არ განხორციელდება, თუ თანამედროვე სახელმწიფო და კაპიტალიზმი არ მოისპო, როდესაც მან დაინახა თვალით, რომ მათი მოსპობა შეუძლებელია ძალა-დაუტანებლად, რადგანაც პატარა გაფიცვის დროსაც არ იბრალებს ხოლმე მუშებს კაპიტალიზმის დარაჯი სახელმწიფო და ტყვიებით ანადგურებს მათ რაზმებს,—როდესაც მუშათა კლასსი დარწმუნდა ამაში მრავალი სისხლის მღვრელი დამარცხებით,—მაშინ შეიმუშავა მან ტაქტიკა, შესაფერი თავისი იდეალისა, დასანგრევ დაწესებულებათა ხასიათისა და მომავალ დაწესებულებათა ხასიათისა აგრეთვე. მან განსაზღვრა სოციალური ტრანსფორმაცია სრულიად რაციონალურად და ლოღიკურად მივიდა ძალ-დატანებითი რევოლიუციის საჭიროების დასკვნამდის.

მისი იდეალია - კომმუნიზმი და ანარხია. მისი საშუალება — ძალდატანებითი სოციალური რევოლიუცია. ეს სამი ცნება კი შეადგენს „ანარხიზმის“ ნიშანდობლივ ხასიათს.

ამაში ჩვენ სრულიად ვეთანხმებით მუშებს, და ჩვენც ვცდილობთ, კიდევ უფრო განვავითაროთ იდეა სოციალური ტრანსფორმაციისა და სოციალური რევოლიუციისა.

მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, ეთანხმებიან თუ არა ყოველივე ამას უკვე მოხსენებულ პარტიათა განსაზღვრანი სოციალური ტრანსფორმაციისა და რევოლიუციისა, როგორია მათი ძირითადი შეცდომანი და თვით ლოღიკაც, რომელიც ვითომც ყოველთვის აკავშირებს მათ იდეალსა და მათ მიერ ამორჩეულ ბრძოლის საშუალებათ? მიუგოთ ჯერ 6 და 7 კითხვაზედ და შემდეგ გადვიდეთ იმ კითხვაზედ, თუ რა არის სოციალური რევოლიუცია, რა მომენტებისაგან შესდგება იგი და რას მოასწავებს იგი ადამიანთა ცხოვრების შეცვლის მხრივ?

Bâton.

---

აზრი დიდ რამედ მიაჩნდა და ნანება დაიწყო, რომ ბაკუნინის ზეგავლენით, ცოტა არ იყოს, შორს წავიდა პოლონურ საქმეებში *) და თან შეეცადა თავის რადიკალიზმი შეესუსტებია, ალბად იმისათვის, რომ გული მოებრუნებია რევოლიუციონურ საქმით და სიტყვით დამფრთხალ ლიბერალებისათვის. ბაკუნინი კი თავისას არ იშლიდა, თან გერცენს უმტკიცებდა, რომ დიდი შეცდომაა იმედის დამყარება ლიბერალებზე, რომ რუსეთში ყოველი ძალღონე უნდა იქნას მიმართული გლეხთა რევოლიუციის გამოსაწვევადო. გერცენი ამაში, რასაკვირველია, ბაკუნინს არ ეთანხმებოდა. მას თითქო ეგონა, რომ საზოგადო გარდაქმნა ფერხატკებ გაუხდელად შეიძლება მომხდარიყო. მერმე და მერმედ ის კიდევ უფრო სპეტაკი გახდა რევოლიუციის მხრივ, რამაც, ცოტა არ იყოს, გააცივა მის და ბაკუნინს შორის არსებული ურთიერთობა.

პოლონური მოძრაობა დროებით დამარცხდა და შეჩერდა. მაშინ ბაკუნინმა გადიარა საერთაშორისო მოქმედების ნიადაგზე. შვეციიდან მობრუნების შემდეგ ცოტა ხანი კიდევ დაჰყო ლონდონში და შემდეგ წავიდა იტალიაში. ეს იყო 1864 წ.

**საერთაშორისო კავშირი სოციალისტურ დემოკრატიისა.**

(Alliance internationale de la Démocratie socialiste).

„ბაკუნინს ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა, სწერს გერცენი, მაგრამ მისი ნაკლულოვანებანი წვრილმანები იყვნენ, მაშინ როცა მისი კარგი ღირსებანი დიდნი იყვნენ. განა დიდი საქმე არ არის ის, რომ სადაც უნდა მიეყვანა ის თავის ბედს, გაარჩევდა რა ორ სამ დამახასიათებელ ნიშანს ახალ გარემოისა, მაშინვე მიაკვლევდა სარევოლიუციო ძარღვს და შეუდგებოდა მის განვითარებას, სანამ არ გახდიდა მას მწვავე ცხოვრების კითხვად“. იმ დროის ბაკუნინი (1864—1966) ამგვარად დაახასიათა გერცენმა: „მოქმედება ბაკუნინისა, უსაქმობა, მადა და სხვა, უზარმაზარი ტანადობა, მუდმივი ოფლი, ერთი სიტყვით ყველაფერს მისას არა ჩვეულებრივი ხასიათი ჰქონდა, როგორც თითონ მას, თითონ ის კი ლომისებურ აქოჩრილი ფაფარიანი დევგმირი იყო. 50 წლის ის კიდევ ისე მაროსეიკის ნომადი სტუდენტი იყო, ისევ ისე უსახლ-კარო rue de Bourgogne-ის ბოჰემი იყო: ხვალისათვის უზრუნველი და არა მოყვარე ფულებისა. როცა ჰქონდა აბნევდა, როცა არ ჰქონდა სესხულობდა მარჯვნივ და მარცხნივ, განურჩევლად, იმ გულწრფელობით, რომლითაც ბავშები ართმევენ ფულს დედმამას და არც კი ზრუნავენ დაბრუნებაზე. ამასთანავე ის ისეთივე გულწრფელობით თითონ აძლევდა ყველას თავის უკანასკნელ გროშებს, შეინახავდა რა ცოტას პაპიროსისა და ჩაისათვის.

მას ამგვარი ცხოვრება არა აწუხებდა მას. თავიც მოსწონდა იმით, რომ დიდებული მოხეტიალე და დიდებული უსახლკარო იყო. მასში იყო რაღაც ბავშური ყოველ სიბოროტეს მოკლებული და გულწრფელი; ეს აძლევდა მას მომხიბვლელ ხასიათს და უახლოვებდა მას ყველას, სუსტსა და ძლიერს, ხოლო чепорный мѣщанъ-ებს კი აშორებდა მას. ამ კაცში იყო ნასახი უზარმაზარი მოქმედებისა, რომლის მოთხოვნა-

*) იხ. მისი ხსენებული ბროშურა გვ. 16. ჩვენ განგებ ვსარგებლობთ პოლონური კითხვის შესახებ არა ანარქისტი პოლონელის მოწმობით, თორემ ისე შეგვეძლო სხვა მოწმობისთვის მიგვემართა.

## ორგანიზაცია ინტერნაციონალისა

—

დიდებული საქმე, რომელიც საერთაშორისო მუშათა საზოგადოებამ თავსიდო, რომ სრულიად და სამუდამოდ გაანთავისუფლოს მუშა და ხალხის შრომა ყველა მის ექსპლოატატორებისაგან—პატრონებისა, დაუმუშავებელ მასალის და საწარმოო იარაღის მეპატრონეთა, ერთის სიტყვით, ყველა კაპიტალის **წარმომადგენელთაგან**,—წმინდა ეკონომიური საქმე არ არის; იმავე დროს და იმავე ხარისხით იგი ფილოსოფიური, სოციალური და ზნეობრივი საქმეა. აგრეთვე იგი ხდება პოლიტიკურ საქმედ, მხოლოდ იმ მხრით, რომ მოსპოს ყოველი პოლიტიკა სახელმწიფოს დამხობის საშუალებით.

ჩვენ არა გვგონია, იმის დამტკიცება დაგვჭირდეს, რომ უფრო განათლებულ ქვეყნების თანამედროვე პოლიტიკურ, იურიდიულ, რელიგიურ და სოციალურ ორგანიზაციების დროს მუშათა ეკონომიურად განთავისუფლება შეუძლებელი არ იყოს და რომ ამიტომ განთავისუფლების მისაღწევად და იმის მთლად განსახორციელებლად საჭიროა დავამხოთ ყველა თანამედროვე დაწესებულებანი: სახელმწიფო, ეკკლესია, იურიდიული ასპარეზი, უნივერსიტეტი, ადმინისტრაცია, არმია და პოლიცია, რომელიც სხვა არაფერია, გარდა პროლეტარიატის წინააღმდეგ უპირატესობით აღჭურვილთაგან აგებულ საპყრობილეებისა. და საკმაო როდია ყველა ესენი ერთ რომელსამე მხარეში დაემხოს; საჭიროა იმათი დამხობა ყოველს ქვეყანაში, რადგან თანამედროვე სახელმწიფოს დაარსებიდან მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში ყველა ამ დაწესებულებათა და ყოველ მხარეთა შორის არსებობს უფრო და უფრო ვრცელი საერთაშორისო კავშირები.

მაშასადამე, საერთაშორისო მუშათა საზოგადოებისაგან ნაკისრი საქმე სრული ლიკვიდაციაა აწ არსებულ პოლიტიკურ, იურიდიულ, რელიგიურ და სოციალურ წეს-წყობილებათა და იმის მაგიერად ახალ ეკონომიურ, ფილოსოფიურ და სოციალურ ფორმის დაწესება. ასეთი გიგანტური საქმე არასოდეს არ შეიძლებოდა განხორციელებულიყო, რომ ინტერნაციონალს არა ჰქონდა ორი ერთნაირად ძლიერი და ერთი მეორის შემავსებელი ძალა: ერთია ძალა მუდამ მეტ და მეტ მოთხოვნათა, მასსათა ტანჯვისა და ეკონომიურ მოთხოვნილებათა; მეორე—ახალი სოციალური ფილოსოფია, რეალისტური და სახალხო ფილოსოფია თეორეტიურად მხოლოდ ნამდვილ მეცნიერებაზეა დამყარებული, ე. ი. ერთსა და იმავე დროს ექსპერიმენტალური და რაციონალური, რომელსაც არა აქვს სხვა საფუძველი, გარდა ადამიანურ პრინციპებისა—გამოსთქვას მასსათა დიდის ხნის მოთხოვნილებანი—პრინციპები თანასწორობისა, თავისუფლებისა და მთელის მსოფლიოს სოლიდარობისა.

ამ მოთხოვნილებებით იძულებულმა, ამ პრინციპებით გატაცებულმა ხალხმა უნდა გაიმარჯოს. იმისთვის უცხო არ არის ეს პრინციპები, ასე გასინჯეთ, ახალიც-კი არ არის იმისთვის იმ აზრით, რომ, როგორც ჩვენ უკვე ვსთქვით, ხალხი ყოველს დროს ინსტიქტიურად გულით ატარებდა ამ პრინციპებსა. ხალხს ყოველთვის სურდა განთავისუფლებულიყო ყოველ ჩაგვრისაგან! და რადგან იგი, მუშა, მსაზრდოებელია საზოგადოებისა, შემქნელია ცივილიზაციისა და ყოველისავე სიმდიდრისა,—იგი მონა, მონაზე უმონესი, რადგან არ შეუძლიან თავი გაინთავისუფლოს ისე, რომ თავისთან ერთად არ განათავისუფლოს მთელი ქვეყანა,—იგი ყოველთვის სცდილობდა ყველას განთავისუფლებას, ე. ი. მთელის მსოფლიოს თავისუფლებას. ხალხი გატაცებით ოცნებობდა

---

ლება არც კი არსებობდა. დააყენეთ ის სადაც გინდათ, მაგრამ უკიდურეს მემარცხენეებში კი, და ის წარიტაცებს მასსას და ხალხების ბედ-ბედსაც შესცვლის *). როცა გერცენი ამ სტრიქონებსა სწერდა, მაშინ მას და ბაკუნინს შუა ურთიერთობა გაცივებული იყო. ამ ურთიერთობის გაცივება მოხდა პრინციპიალური სხვა და სხვაობის ზეგავლენით. გერცენი, როგორც ეს, ვთქვით, სკეპტიკი შეიქნა რევოლიუციის მხრივ და ამას გარდა მის მოქმედებას, ცოტა არ იყოს, ლიბერალური გამოურკვევლობაც დაატყდა. ბაკუნინი ჰკიცხავდა მას ამ ოპორტიუნიზმისა და გამოურკვევლობისათვის, მკაცრი კრიტიკულის თვალით უყურებდა მის გაუბედაობას პოლიტიკურ და სოციალურ კითხვებში, მის უაზრო იმედს იმისა, რომ ალექსანდრე II დიდ რეფორმატორობას იკისრებსო. მაგრამ ამ მასსაზედ გულ გაცივებულ კაცის სიტყვებში, რომელსაც მან „პასკვილი" უწოდა, ჩვენ ვპოვებთ იმ აზრს, რომ ბაკუნინი უზარ მაზარი მომქმედი და შემომქმედი ძალა იყო. ამას მისი იტალიაში მოქმედებაც ამტკიცებს. როცა ის 1864 წ. იტალიაში ჩავიდა, იქ არავითარი სოციალისტური მოძრაობა, არავითარი სოციალისტური ორგანიზაცია არ არსებობდა და თვით იტალიაც საშინელ მდგომარეობაში იყო, ყველა საზოგადოებრივი კლასები გამოლაყებული, დაუძლურებული და სიცოცხლე დაკარგული იყო, ისე რომ გეგონებოდათ იტალიისათვის უკანასკნელად დაცემის დღე დამდგარაო. არც ერთი საზოგადოებრივი კლასი, გარდა მოსწავლე და საზოგადოთ ახალ-გაზრდობისა, არ მიაჩნდათ ცოცხალ მომქმედ ელემენტად. თვით მუშა ხალხი შიმშილისაგან ისე გაჭივრებული იყო, რომ ის თუ ასდგებოდა და წელში გაიმართებოდა არავის ეგონა. ერთად ერთი მოძრაობა, რომელიც აქ არსებობდა ამ ხანად, ეს ნაციონალური მოძრაობა იყო, რომელსაც სათავეში გარიბალდი და მაძინი ედგა. ბაკუნინმა იმ ინსტინქტის მეოხებით, რომელიც მას შეძლებას აძლევდა ყოველ მიდამოში აღმოეჩინა სარევოლიუციო ძარღვი, სწორედ გაჭივრებულ, დაბეჩავებულ და მიძინებულ მაშვრალს ხალხს მიმართა, იმ მაშვრალ ხალხს, რომლის იმედი არავის არ ჰქონდა. ეს მაშვრალი ხალხი იცნა მან ერთად ერთ ძალად, რომელსაც შეეძლო იტალიის ცხოვრების განახლება. მხოლოდ ამ ხალხის გაღვიძება იყო საჭირო. მაგრამ ამ ხალხისთვის, რომელიც ამდენ ხანს პოლიტიკურ და რელიგიურ ცრუ-რწმუნეობის მეოხებით უგნურებისა და არარაობის წყვდიადში იყო ჩაფლული, საჭირო იყო არა ძველი ნახევრად მისტიური, ნახევრად რელიგიური ქადაგება და იდეალი, არამედ სრულიად ახალ გზაზე გამოსვლა. ეს ახალი გზა იყო სარევოლიუციო სოციალიზმისა. მხოლოდ მას, მხოლოდ ამ ხალხის მისწრაფებათა სინტეზს შეეძლო გაეღვიძებია მიძინებულ ხალხში ცხოვრების სურვილი, დაეყენებია შემოქმედების ასპარეზზე. მაგრამ ამნაირად კითხვის დაყენება, და (სწორედ ამ ნაირად კითხვის დაყენება იყო საჭირო),—და ამნაირად დააყენა ის ბაკუნინმა,—ძნელი იყო ორის მხრით. ერთი იმისათვის, რომ ამგვარად კითხვის დაყენება მაძინის წინააღ-

*) ადგილი ამოღებულია გერცენის Посмерныя статьи-იდან. ეს ადგილი კიდევ ბაკუნინის სიცოცხლის დროს იქნა გამოქვეყნებული და მან მას პასკვილი უწოდა. ჩვენც განგებ მოვიყვანეთ ის. ბაკუნინის საგინებლად დაწერილი დოკუმენტებიც კი მის აპოლოგიის ხასიათს იღებენ უნებლიეთ.

თანასწორობაზე, ამ თავისუფლებისთვის აუცილებელ პირობებზე. და, უბედური, ცალ-ცალკეობით მუდამ დაჩაგრული, ყოველთვის თავის ხსნას სოლიდარობაში ეძებდა. საერთო ბედნიერებას აქამდე არ იცნობდნენ, ან, ყოველ შემთხვევაში, ცოტად იცნობდნენ; თუ ბედნიერი ხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ ეგოისტი ხარ, სხვის შრომით ცხოვრობ, სხვას იმონებ და ტყავს აძრობ, ამიტომაც მხოლოდ უბედურებმა, მაშასადამე სახალხო მასსებმა იცოდნენ ძმობა.

ამგვარად, სოციალური მეცნიერება, როგორც ზნეობრივი დოქტრინა, მხოლოდ ანვითარებს და კეთილშობილებს ხალხის ინსტიქტებს. მაგრამ ამ ინსტიქტთა და ამ მეცნიერებას შორის მაინც არსებობს უფსკრული, რომელიც უნდა შეივსოს. მარტო ერთად ერთი ნამდვილი ინსტიქტები რომ ჰკმაროდეს ხალხთა განსათავისუფლებლად, იგი დიდის ხნიდან თავისუფალი იქნებოდა. ამ ინსტიქტებმა ხელი ვერ შეუშალეს მასსებს მთელის მისის სამწუხარო და ტრაგიკულ ისტორიის განმავლობაში განუწყვეტელ მსხვერპლად გამხდარიყვნენ სხვა და სხვა რელიგიოზურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ აბსურდებისა.

მართალია მძიმე ტანჯვა, რომელიც მასსებმა გამოსცადეს, მათთვის მთლად დაკარგული არ იყო. ამ ტანჯვამ ხალხში თითქო რაღაც ისტორიული შეგნება დასტოვა, შექმნა თითქოს პრაქტიკული, გადმოცემაზე დამყარებული მეცნიერება, რომელიც ხშირად თეორიულ მეცნიერების მაგიერობას უწევს მას. ასე, მაგალითად, შეიძლება ეხლა დარწმუნებული იყოს კაცი, რომ ვერც ერთ დასავლეთ-ევროპის ხალხს ვერ გაიტაცებს ვინმე რელიგიოზური შარლატანი, ვერც ახალი მესსია, ვერც ვინმე პოლიტიკური გაიძვერა. ასევე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიურ და სოციალურ რევოლიუციათა მოთხოვნილებას ძლიერად გრძნობენ ევროპის მასსები: რომ სახალხო ინსტიქტს ასე ცხადათ, ღრმათა და გაბედულად არ ეჩინა თავი ამ მხრით, ვერავითარი სოციალისტი ქვეყანაზე, თუნდაც უდიდებულესი გენიოსიც ყოფილიყო, ვერ შესძლებდა მასსის გამოღვიძებას.

ხალხი მზად არის, იგი ბევრი იტანჯა და, —უმთავრესი, — იწყებს იმის შეგნებას, რომ სრულიადაც ვალდებული არაა იტანჯოს. მოჰბეზრდა მუდამ ცას მიაპყრას თვალები და მეტად აღარა სურს ითმინოს. ყოვლის პროპაგანდის გაუწევლად მასსა სოციალისტდება; ამის მაჩვენებელია ღრმა თანაგრძნობა, რომელიც პარიზის კომუნამ მოიპოვა ყოველმხრივ პროლეტარიატთაგან. მაგრამ მასსები—ძალაა, ან არსებითი ელემენტია მაინც ყოველ ძალათა. მაშ რა უშლის მას დაამხოს თავიანთი საზიზღარი საზოგადოებრივი წეს-წყობილება?—იმათ აკლიათ ორი რამ: ორგანიზაცია და მეცნიერება, ორი რამ ისეთი, რაც შეადგენს და ყოველთვის შეადგენდა მთავრობის ძალას.

***

ამრიგად, ყოვლის უწინარეს საჭიროა ორგანიზაცია, რომელიც შეუძლებელია მეცნიერების დაუხმარებლად მოეწყოს. სამხედრო ორგანიზაციის მეოხებით, ათას შეიარაღებულ კაცისაგან შემდგარ ბატალიონს შეუძლია შიშის ზარი დასცეს, და სცემს კიდეცა, მილიონ ხალხის ბრბოს, ასევე შეიარაღებულს, მაგრამ შეუკავშირებელს. ბიუროკრატიული ორგანიზაცია რომაა,—სახელმწიფოს რამდენიმე ასი ათას ჩინოვნიკის მეოხებით დამორჩილებული ჰყავს უზარ-მაზარი ქვეყნები. მაშასადამე, რომ შეჰქმნა ისეთი სახალხო ძალა, რომელიც გასრესს სამხედრო და სამოქალაქო ძალას სახელმწიფოსას, ამისთვის საჭიროა შეაკავშირო პროლეტარიატი, რა-

---

მდეგ აჯანყებას ნიშნავდა და მეორედ იმისათვის, რომ ამნაირი მოქმედებისათვის იტალიაში მაშინ თითქმის სრულიად არ არსებობდნენ საჭირო ელემენტები. ბაკუნინი არ შეუშინდა არც ერთს, არც მეორე დაბრკოლებას. ბაკუნინი, თვით მის მოსისხლე მტერთა სიტყვითაც კი, შესანიშნავი აგიტატორი და ორგანიზატორი იყო, ამისათვის მან მალე მოიხვეჭა დიდი გავლენა იტალიაში. ის შეეხო ჯერ მაძძინის „პოლიტიკურ თეოლოგიას“ *). ამ პოლიტიკურ თეოლოგიის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ მის გულღვიძლად ორი ფრაქცია, ორი განყენებულება იყო გამხდარი: ღმერთი და ხალხი. ბაკუნინის ანტი-თეოლოგიურ ფილოსოფიის გამორკვევას, რომელსაც დღესაც დიდი სოციოლოგიური მნიშვნელობა აქვს, ჩვენ აქ ვერ შეუდგებით, რადგან ამისათვის ერთი წიგნი მეტი არ იქნება. ვიტყვით მხოლოდ, რომ მაძძინის თეოლოგიას ბაკუნინმა წინ დაუყენა ანტითეოლოგია, სრული უარყოფა ღვთაებისა. მან სიმძლავრით, რომელიც დღემდის არავის წაუქარბებია, გამოარკვია საჭიროება რელიგიური მონობის დარღვევისა და სოციალურ მეცნიერებიდან, ისე როგორც საზოგადოთ მეცნიერებიდან და ფილოსოფიიდან ღვთაების სრული განდევნისა. ერთი სიტყვით, მაძძინის რელიგიურ მისტიციზმს მან დაუპირდაპირა გაბედულად გამოთქმული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. რაც შეეხება მეორე ფრაქციას მაძძინისას—ხალხს, ბაკუნინმა აღნიშნა, რომ მაძძინის სისტემაში ხალხი ის ნამდვილი წვალებული და ჯვარცმული, მიტოვებული და დაჩაგრული ხალხი კი არ არის, რომელსაც უთვალავი რეალური მოთხოვნილება აქვს, არამედ მასალა, რომელიც იტალიის **სახელმწიფოს** სიძლიერის ქვაკუთხედათ უნდა გახდეს. ერთი სიტყვით ბაკუნინის ამდროინდელი მოქმედება და პროპაგანდა მომასწავებელი და წინასწარმეტყველი იყო წმინდა პოლიტიკური და ნაციონალური კონსპირაციების ხანის დასრულების და მის მაგიერ ახალი ხანის, სოციალურ რევოლიუციის მომამზადებელ ხანის დადგომისა. ამასთანავე ბაკუნინის მოქმედება მოასწავებდა იტალიაში საქრისტიანო-სანტიმენტალურ სოციალიზმის დამხობას და ათეისტურ-კომუნისტურ რეალიზმის დასაწყის ისტორიაში. ამ აზრებისა და ამ აზრებზე დამყარებულ მოქმედების გამომხატველად გახდა იმავე წელს (1864 წ.) ბაკუნინის-მიერ დაარსებული „საერთაშორისო კავშირი სოციალისტურ დემოკრატიისა“, რომელსაც სრულიად სამართლიანად სთვლიდა „საერთაშორისო მუშათა ამხანაგობის“ წინამორბედათ. ამ ორგანიზაციამ პროგრამის სათავეში დააყენა ათეიზმი, ალბად იმისათვის, რომ შეესუსტებია მაძძინის პოლიტიკურ თეოლოგიის ცუდი გავლენა, უარყოფა ავტორიტეტისა და მთავრობისა. გაუქმება კანონებისა და შემოღება კოლექტივიზმისა.

ამ პროგრამით შრომა უნდა იყოს საძირკველი საზოგადოებრივ ორგანიზაციისა, რომელიც უნდა აღმოცენდეს კავშირთა ნებაყოფლობითი ფედერაციით. დასთესა რა უხვად სოციალისტური აზრები ერთ ადგილზე და დააარსა-რა ამ აზრების პოლიტიკურად გამომხატველი ორგანიზაცია, მებრძოლი ორგანო, მან გადიტანა მეორე ქალაქში (უმალ ფლორენციაში იყო)—ნეაპოლში, სადაც იმავე აზრების ნიადაგზე და იმავე პროგრამით დააარსა ორგანიზაცია: „საერთაშორისო ძმობა“. შემდეგ რაკი იტალიაში პროპაგანდამ და ორგანიზაციამ ფეხი მოიკიდა, რაკი ამ ორგანიზაციებს გაუჩნდნენ ბლომად მომხრენი და მომუშავენი, რაკი ერთი სიტყვით სოციალისტური მოძრაობა დამყარდა და განვითარების გზაზე დაადგა იტალიაში, ბაკუნინმა შესაძლოთ ნახა იტალიის დატოვება და გადმოესახლა შვეიცარიაში 1867 წ.

აი ამ კაცზე ამბობდა შურიანობით, მეგალომანიით დაბრმავებული მარქსი, რომ იქ ბაკუნინი არაფერს აკეთებდაო. საწყალი! ეგონა, რომ ბაკუნინის მოქმედება დაიმალებოდა და ყველაფერს მე მომაწერენო. შევჩერდეთ აქ ცოტა. კ. ო.

*) ამ სათაურით: La theologie politique de Madzini მან შემდეგ მთელი წიგნი გამოაქვეყნა.

საც შვრება კიდეცა საერთაშორისო მუშათა საზოგადოება. იმ დღეს, როცა იგი მოედება ნახევარს, მესამედს, მეოთხედს ანა და მეორედ ნაწილს ევროპის პროლეტარიატისას, სახელმწიფო, ან უკეთ, სახელმწიფონი ველარ იარსებებენ. ინტერნაციონალის ორგანიზაცია, რომელსაც მიზნადა აქვს არა ახალ სახელმწიფოთა შექმნა, არამედ ყოველ ბატონობის ძირიან-ფესვიანად ამოგდება, არსებითად უნდა განსხვავდებოდეს სახელმწიფო ორგანიზაციისაგან. რამდენად უკანასკნელი ხელოვნური, ნაძალადევია, დამყარებულია უფლების პრინციპზე, უცხო და მტრულად განწყობილია ხალხის ინსტინქტებისა და ინტერესების ბუნებრივ განვითარებასთან, იმდენად ინტერნაციონალის ორგანიზაცია უნდა იყოს თავისუფალი, ბუნებრივი, ყოველ საქმეში უნდა ეთანხმებოდეს ამ ინტერესებსა და ინსტინქტებს.

მაგრამ რაა ეს ბუნებრივი ორგანიზაცია მასსათა?

ორგანიზაცია, რომელიც იმათ ყოველდღიურ ცხოვრებისაგან გამომდინარეობს, დაფუძნებული სხვა და სხვა გვარ შრომაზე, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,—ორგანიზაციაა ხელობის მიხედვით. იმ წამიდან, როცა წარმოების ყოველი დარგი ინტერნაციონალს წარმოადგენს, აგრეთვე მიწათ-მოქმედების შრომა, სახალხო მასსათა ორგანიზაცია დასრულებული იქნება.

შეუძლიანთ გვიპასუხონ, რომ ამ ინტერნაციონალის ორგანიზაციის გავლენას შედეგად მოჰყვება ძველის მთავრობის ნაცვლად ახალი მთავრობაო. მაგრამ ეს ღრმა შეცდომა იქნება. ინტერნაციონალის ორგანიზაცია ყოველთვის განსხვავდება ყველა მთავრობებისა და სახელმწიფოების ორგანიზაციისაგან. იმის უმთავრესი ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მასსაზე მხოლოდ ჩაგონებით და ძალდაუტანებლად მოქმედებს. სახელმწიფოს ძლიერებასა და ინტერნაციონალს შუა ისეთივე განსხვავებაა, როგორიც არსებობს ოფიციალურ სახელმწიფო მოღვაწეობასა და რომელიმე კლუბის უბრალო მოქმედებას შორის. ინტერნაციონალს არა აქვს და არასოდესაც არ ექნება სხვა ძალა, გარდა ჩაგონების დიდებულ ძალისა, და ყოველთვის დარჩება მასსებზე ცალკე პირთაგან ბუნებრივ ზეგავლენის ორგანიზაციად (ზეგავლენისა ჩაგონების გზით). სახელმწიფო და ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი-კი: ეკკლესია, უნივერსიტეტი, იურიდიული ასპარეზი, ბიუროკრატია, საფინანსო სისტემა, პოლიცია და არმია, შეძლების და გვარად, არ ივიწყებს ქვეშევრდომთა აზრისა და ნების გახრწნას და თხოულობს იმათგან პასსიურ მორჩილებას, ხშირად სრულებით მიუხედავათ მათი აზრისა და ნების წინააღმდეგობისა; და ყველა ამას ჩადის ზომიერად, ყოველთვის დიდის ამბით, როგორც ეს კონონისგან დადასტურებულია.

სახელმწიფო, მხოლოდ მასსის დამორჩილების მაძიებელი,—სხვაფრივ არც-კი შეიძლება იყოს—იწვევს მასსებს დასამორჩილებლად. ინტერნაციონალი, მხოლოდ მასსების განთავისუფლების მოსურნე, იწვევს ამ მასსებს ასაჯანყებლად. მაგრამ რათა ეს აჯანყება შეიქმნეს ძლიერი და დამამხობელი სახელმწიფოს ბატონობისა და უპირატესობა მინიჭებულ კლასებისა, ინტერნაციონალი უნდა მოეწყოს: ამისთვის იგი იხმარს მხოლოდ ორ საშუალებას, რომელიც თუმცა ყოველთვის ლეგალური არ არის,—ლეგალურობა, ყოველ ქვეყანაში, უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ იურიდიული მონათვლაა პრივილეგიის,—ე. ი. უსამართლობისა,—მაგრამ ადამიანის უფლების მიხედვით, ორივეს ერთგვარად კანონიერს. ეს ორი საშუალება, როგორც უკვე ვთქვით,—არის პროპაგანდა იდეისა და ორგანიზაცია ინტერნაციონალის წევრთა მასსებზე ბუნებრივ ზედ სამოქმედოთ. იმას, ვინც იმის მტკიცებას დაგვიწყებდა, რომ ამგვარი მოქმედებაც ინტერნაციონალისა მასსათა თავისუფლების შეზღუდვაა, ჩვენ ვუპასუხებთ, რომ იგი ან სოფისტია და ან ბრიყვი. მით უარესი მათთვის, რომელთაც იმდენათაც არ იციან ბუნებრივი და სოციალური კანონი ადამიანთა სოლიდარობისა, რომ სრულიად ერთი მეორისგან დამოუკიდებლობას ცალკე პირისა და მასსებისას შესაძლებლათა და სასურველად სთვლიან.

თუ ეს გსურს, ჩანს ისიც გსურს, რომ საზოგადოება გაჰქრეს, რადგან მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არ განუწყვეტელი დამოკიდებულება ერთმანეთთან კერძო პირთა და მასსათა. ყოველი ადამიანი, თვით უჭკვიანესიც-კი, უძლიერესი და განსაკუთრებით ჭკვიანი და ძლიერი, თავის ცხოვრების ყოველს წამში ერთსა და იმავე დროს არის მწარმოებელი და ნაწარმოები. თვითონ თავისუფლება ყოველის ადამიანისა არის გამოძიება,—უდამ ახლად წარმოშობილი,—მასსათა გავლენისა, ფიზიკურ, გონებრივ და ზნეობრივისა, რომელსაც იგი ექვემდებარება თავის წრისა და ახლო მყოფ ადამიანთა მხრით, და რომელშიაც იგი იშობება, ცხოვრობს და კვდება. სურვილი იმისა, რომ თავიდან აიცილო ეს გავლენა რაღაც უმაღლეს ღვთაებრივის თავისუფლების გულისთვის, თავის კმაყოფილებისა და მხოლოდ ეგოისტურ თავმოყვარეობისათვის, იმას ნიშნავს რომ შენის თავის მოსპობას ესწრაფვოდე; სხვაზე გავლენის უარის ყოფა ნიშნაავს იმას, რომ უარჰყოთ თქვენივე აქტი, ასე გასინჯეთ უარჰყოთ თქვენივე აზრი და გრძნობა,—ე. ი. მაინც ესწრაფოდეთ თქვენის თავის მოსპობას. ეს სახელ განთქმული დამოუკიდებლობა, ასე ნაქებნადიდები იდეალისტებისაგანა და მეტაფიზიკებისაგან, ამასთან პირადი თავისუფლება ამ აზრით გაგებული,—ეს არყოფნაა.

როგორც ბუნება, ისე ადამიანთა საზოგადოება, რომელიც სხვა არაფერია, გარდა იმავ ბუნებისა,—ყველაფერი, რაც ცხოვრობს,—ცხოვრობს მხოლოდ იმ უცილებელ პირობით, რომ გაბედულად ერეოდეს სხვის ცხოვრებაში. მოსპობა ამ საურთიერთო გავლენისა სიკვდილი იქნებოდა. მასსის თავისუფლებას რომ ვთხოულობთ, ჩვენ სრულიადაც განზრახვა არა გვაქვს გავაუქმოთ ბუნებრივი გავლენა, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან ცალკე პირთა და ჯგუფთა მხრით. ყველაფერი, რაც ჩვენა გვსურს, ეს არის გაუქმება ხელოვნურ, ლეგალურ გავლენისა, გაუქმება გავლენის უპირატესობისა.

ეკლესია და სახელმწიფო რომ კერძო დაწესებულებანი იყვნენ, ჩვენ, უეჭველია, მაშინაც იმათი წინააღმდეგი ვიქნებოდით. მაგრამ ჩვენ ვიბრძვით იმათ წინააღმდეგ იმიტომ, რომ თუმცა ესენი კერძო დაწესებულებანიც კი არიან იმ აზრით, რომ ემსახურებიან მხოლოდ დაწინაურებულ კლასების ინტერესებს, მაინც ამ საქმის თვის კოლექტიურად შეკავშირებულ მასსათა ძალით სარგებლობენ, რომ ძალად მოახვიონ თავზე იმათ თავიანთი ბატონობა.

ინტერნაციონალს რომ სახელმწიფოდ ქცევა შეეძლოს, დღევანდელ იმის დარწმუნებულ და თავგადადებულ მომხრეთაგან იმისავე საშინელ მტრად ვ ქცეოდით. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ინტერნაციონალს არ შეუძლიან სახელმწიფოს ყალიბში ჩამოისხას; არ შეუძლიან ჯერ მარტო იმიტომ, რომ როგორც იმისი წოდებაც გვაჩვენებს, იგი სპობს ყოველ საზღვარს. სახელმწიფო კი უსაზღვროდ წარმოუდგენელია.

შეუძლებლობა მთელის მსოფლიოს სახელმწიფოს შექმნისა,

რასაც მხედარი ხალხი და ქვეყნის უწყალო დესპოტები ოცნებობდნენ, ისტორიულად დამტკიცებულია. სიტყვა სახელმწიფოს თქმის დროს ყოველთვის უნდა იგულისხმო რამდენიმე სახელმწიფო,—მჩაგვრელ და ექსპლოატატორებისა თავის იმპერიის შინაგან ცხოვრებაში, და ცოტად თუ ბევრად მტრულად მფლობელ თავის მოსაზღვრე ადგილისა. სახელმწიფო შეიცავს ადამიანობის უარყოფას. მსოფლიო სახელმწიფო, ან ხალხური სახელმწიფო, როგორც გერმანელი კომმუნისტები ამბობენ, შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს: სახელმწიფოს ნოსპობას. მუშათა საერთაშორისო საზოგადოებას არავითარი აზრი არ ექნებოდა, რომ ის სახელმწიფოს მოსპობას არ ესწრაფვოდეს: იგი სახალხო მასსებს მხოლოდ ამის დასამხობად აწყობს.

მაგრამ როგორ მოაწყობს ამას? იგი ქვემოდან ზემოდ კი არ მოაწყობს მას, სხვა და სხვა საზოგადოების შეერთებით,—სახალხო სხვა და სხვა გვარ შრომის ნაყოფის ხელოვნური ერთობით და წეს-რიგით, როგორც ამას შვრება სახელმწიფო: არამედ ქვემოდან ზემოდ, რადგან მიზნად აიღებს მასსათა სოციალურ მდგომარეობასა და მისწრაფებას და ხელს შეუწყობს იმათ შეერთებას მათის მდგომარეობისა და ხელობის სხვა და სხვაობის მიხედვით.

***

მაგრამ რათა ამგვარად, ქვემოდან ზემოდ მოწყობილი ინტერნაციონალი შეიქმნას ნამდვილ, სერიოზულ ძალად, აუცილებლად საჭიროა რომ იმის სექციის ყოველი წევრი უფრო მეტათ განმსჭვალულ იყოს იმის პრინციპებით, ვიდრე ეხლაა. მხოლოდ იმ პირობებში შესძლებს იგი ნამდვილად შეასრულოს მოვალეობა პროპაგანდისტისა და მოციქულისა მყუდროების დროს, შეასრულოს როლი ჭეშმარიტ რევოლიუციონერისა ბრძოლათა დროს.

ინტერნაციონალის პრინციპებზე ლაპარაკის დროს ჩვენ სახეში გვაქვს ის პრინციპები, რომელნიც ჩვენის სტატუტის საერთო ნაწილში შედიან, და რომელნიც მიღებულ იქმნა ჟენევის კონგრესზე. ესენი ისე რიცხვ-მცირენი არიან, რომ ჩვენ ნებართვას ვთხოვთ მკითხველს, რომ აქ მოვიყვანოთ ისინი:

1. მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმე უნდა იყოს.

2. მუშათა მეცადინეობა თავისუფლების მოსაპოვებლად ახალ პრივილეგიათა შექმნისაკენ კი არ უნდა იყოს მიმართული, არამედ უნდა დამყარდეს ყველასათვის (დედამიწაზე მცხოვრებ ადამიანთათვის) სხვა და სხვა უფლება-მოვალეობანი და მოისპოს ყოველგვარი კლასობრივი ბატონობა;

3. ეკონომიური მორჩილება მუშათა დაუმუშავებელ მასალისა და ხელსაწყო იარაღის მეპატრონეთაგან სათავეა ყოველ გვარ მონობისა, ზნეობრივად, გონებრივად და პოლიტიკურად.

4. ამიტომ, მუშათა ეკონომიური განთავისუფლება დიადი საქმეა, რომელსაც უნდა ექვემდებარებოდეს ყოველი პოლიტიკური მოძრაობა, როგორც უბრალო საშუალება;

5. მუშათა განთავისუფლება წმინდა ადგილობრივი ან ნაციონალური მოთხოვნილება როდია; ეს მოთხოვნილება ყველა განათლებულ ქვეყნებისაა, რადგან ამის გადაწყვეტა აუცილებლად დამოკიდებულია იმათ თეორეტიულ და პრაქტიკულ დახმარებაზე;

6. ინტერნაციონალი და იმისი ყველა წევრნი აღიარებენ, რომ ჭეშმარიტება, სიმართლე და ზნეობა საფუძვლად უნდა ედოს ყველა ადამიანთან იმის დამოკიდებულებას განურჩევლად კანის ფერისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა.

7. დასასრულ ინტერნაციონალი მოვალეობად თვლის მოითხოვოს ადამიანისა და მოქალაქის უფლებანი არა-თუ მარტო ინტერნაციონალის წევრთა, არამედ ყველა იმათთვის, ვინც თავის მოვალეობას ასრულებს.—არ არის მოვალეობა უუფლებოდ და არ არის უფლება უმოვალეობოდ!

***

ახლა ჩვენ ვიცით, რას შეიცავს ეს ამდენად უბრალო და სამართლიანი პროგრამმა, ასე მოკრძალებით გამომთქმელი უაღრეს კანონიერებისა, პროლეტარიატის უფრო ადამიანურ მოთხოვნილებათა, სწორედ იმიტომ, რომ ეს მხოლოდ ადამიანური პროგრამმაა;—იგი შეიცავს ყველა ჩანასახს დიდებულ სოციალურ რევოლიუციისას, დამხობას ყველა იმისას, რაც არის, და ახალ ცხოვრების შექმნას.

აი, რა უნდა იყოს ეხლა ახსნილი და ინტერნაციონალის ყველა წევრისათვის ნათლად გარკვეული.

ამ პროგრამმას თან მოაქვს ახალი მეცნიერება, ახალი სოციალური ფილოსოფია, რომელმაც უწინდელ რელიგიის ადგილი უნდა დაიკავოს, და ახალ პოლიტიკას, პოლიტიკას ინტერნაციონალურს, ვიჩქაროთ შევნიშნოთ, როგორც ამგვარს, საგნად უნდა ჰქონდეს ყველა სახელმწიფოთა დამხობა, რომ ინტერნაციონალის წევრებმა სინდისიერად შეასრულონ ორგვარი მოვალეობა პროპაგანდისტისა და რევოლიუციონერისა. საჭიროა ყოველი მათგანი, რამდენადაც-კი შეუძლია, თვითონ გაიმსჭვალოს ამ მეცნიერებით, ამ ფილოსოფიით, ამ პოლიტიკით საკმაო არ არის იცოდე და სთქვა, რომ ამით სურთ ეკონომიურად განთავისუფლება მუშისა, სრული სარგებლობა ყველასთვის თავის ნაყოფით, მოსპობა კლასთა და პოლიტიკურ მონობისა, სრული განხორციელება ადამიანის უფლებისა და სრული თანასწორობა უფლებათა და მოვალეობათა, ერთის სიტყვით ადამიანთა შორის ძმობის განხორციელება. ყველა ეს ეჭვი არ არის, ძალიან კარგია და სამართლიანიც, მაგრამ თუ ინტერნაციონალის წევრნი ამ დიდებულ ჭეშმარიტებას ღებულობენ ისე, რომ არ უკვირდებიან იმის არსებას, არ დაუფიქრდებიან იმის მნიშვნელობის სიღრმეს, და თუ კმაყოფილნი იქმნებიან ამის მუდმივ განმეორებით ამ ფორმებში, უკანასკნელთ მოკლე დროს განმავლობაში უბრალო, უნაყოფო სიტყვათა და საერთოდ გაუგებრად ქცევა მოელისთ.

მაგრამ, გვეუბნებიან ჩვენ, ყველა მუშებს, მაშინაც კი, როცა ისინი ინტერნაციონალის წევრები არიან, არ შეუძლიანთ მეცნიერად გახდომა. და განა არა კმარა, ინტერნაციონალში იყოს ისეთი ჯგუფი, რომელიც, რამდენადაც კი ეს ჩვენს დროში შესაძლებელია, ზედმიწევნით მცოდნე იყოს მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და სოციალიზმის პოლიტიკისა, რომ უმეტესობას, მასსას, ინტერნაციონალთან შეერთებულს, ნდობით მორჩილს იმის მმართველობისა და „ძმურ დარიგებისას“ (სტილი გამბეტასია, იაკობინელ-დიქტატორის უპირატესობისა), არ შეეძლოს იმ გზიდან გადახვევა რომელსაც საბოლოო განთავისუფლებამდე მიჰყავს პროლეტარიატი?—აი მსჯელობა, რომელიც ჩვენ საკმაოდ ხშირად გვესმის და რომელიც ჩუმად ვრცელდება, ხმამაღლა გამოსათქმელად კი არ შესწევსთ არც საკმაო გულწრფელობა და არც საკმაო გამბედაობა. ეს აზრი, ინტერნაციონალში უფროსობისა, შემკულია ყოველგვარ ცოტად თუ ბევრად მოხერხებულისა და დემაგოგურის კომპლიმენტებით დიდებულ ხალხის ძლიერებისა და სიბრძნის მიმართ. ჩვენ ყოველთვის თავგამოდებით ვიბრძოდით იმის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ჩვენ დარწმუნებულნი

ვართ, თუ მუშათა საერთაშორისო საზოგადოება ორ ჯგუფად იქნა გაყოფილი: ერთი, რომელშიაც დიდი უმრავლესობა იქნება და შესდგება წევრთაგან, რომელთა მთელი მეცნიერება მხოლოდ ბრმა რწმენა იქნება თავის წინამძღვრების თეორეტიულ და პრაქტიკულ სიბრძნისა; ხოლო მეორე, რომელიც რამდენიმე ათეულ მმართველთაგან იქნება შემდგარი,—ეს დაწესებულება, რომელმაც კაცობრიობა უნდა გაათავისუფლოს, რამდენადმე თვითვე იქცევა ოლიგარხიულ სახელმწიფოდ,— ყველა სახელმწიფოზე უარეს სახელმწიფოდ. ეს შორს გამჭვრეტი, შეგნებული და დახელოვნებული უმცირესობა, რომელიც თავის თავზე მიიღებს ყოველ პასუხის მგებლობასა და უფლებას მთავრობისას, მით უმეტეს თვითმპყრობელისას, რომ იმის დესპოტიზმი მზრუნველობით იფარება ხალხის ნებისა და გადაწყვეტილების მართებულობისა და პატივისცემის საფარველ ქვეშ,—იმ ნებისა და გადაწყვეტილებისა, რომელსაც თვით იგი უკარნახებს, ვითომ როგორც ხალხის ნება-სურვილს, ეს უმცირესობა, ვამბობთ ჩვენ, დაემორჩილება აუცილებლობასა და და თავის პრივილეგიურ მდგომარეობის პირობებს, დაექვემდებარება მთავრობის საზოგადო სვე-ბედს, თანდათანობით სულ უფრო და უფრო განმტკიცდება დესპოტიურად, მავნედ და რეაქციონურად. მუშათა საერთაშორისო საზოგადოება მხოლოდ მაშინ შეიქნება კაცობრიობის განმათავისუფლებელ იარაღად, როდესაც უწინარეს ყოვლისა თავის თავს გაინთავისუფლებს; განთავისუფლებით კი მაშინ განთავისუფლდება, როდესაც თავს დაანებებს ორად გაყოფას: უმეტესობა ბრმა იარაღი და უმცირესობა სწავლულ მემანქანეთა,—როცა მხოლოდ ყოველი იმისი წევრი სრულად შეიგნებს მეცნიერებას, ფილოსოფიის და სოციალიზმის პოლიტიკას.

**მ. ბაკუნინი.**

## კორესპონდენცია.

**ქალაქი სიღნაღი.** მეც სამი საათით ყოფნა მომიხდა სიღნაღის ხაზინაში. შარშან წლის უკანასკნელ თვეებში, ყოველ მხრიდან დაიწყო დენა ხალხმა და მააწყდა სიღნაღის ხაზინას ფულის გამოსატანად, ვისაც ერთიორი შაური ჰქონდა შავიდღისათვის შენახული. მეცა მქონდა გადმოტანილი ერთ ქალაქიდან ათიოდე თუმანი ფული, გავწიე მეც ჩემი წვლილის მისაღებად. იმიტომ კი არა, ვითომ შემშინებოდეს ფულის დაკარგვისა, არ მიჭირდა სამიოდ თუმანი. მე ჯერ არ მენახა სიღნაღის ხაზინა, იქაც ერთი ჩემი ნაამხანაგარი კაცი მიხა სპანდერაშვილი მეგულებოდა და იმის ნახვა უფრო მინდოდა. დიახ, კითხვის-კითხვით ვიპოვე ხაზინა. ხაზინის ქუჩის კარებში ერთი დიდ-ბილება და მოსულელო კაცი დამხვდა შეიარაღებული ხმალ რევოლვერით. „რა გინდა ძმობილო, შენც ფულისთვის მოხველ“? ღრეჭით და რაღაც ნაირ თქლაფათქლუფით შემეკითხა. გაგონილი მქონდა რომ ხაზინაში ფულს აღარ აძლევენ და ანძლევენ ხალხსაო, რაზედაც ამ კაცის შეკითხვამ უფრო ეჭვი დამიბადა. არა მიხა მინდა, მიხა სპანდერაშვილი.—მიხა გალიაში მოზის, მოდი გაჩვენო.—რას ამბობ კაცო, გაიჟია რასა ჰქვიან, რატო სწორეთ არ მელაპარაკები.—ხა, ხა, ხა, გადიხითხითა და გადმოუარა დიდი ეშვები, მე ვიფიქრე სწორედ სულელს წავაწყდი მეთქი და შევიწიე შიგნით, მარამ გადამეღობა წინ ამ სიტყვებით, სად—მიხვალ? შენი სახლი ხომ არა გგონიაო. შევედი, მეტი რა ჯანია, მე გაგონილი მაქვს, „სულელთან სულელი უნდა იყო, ბრძენთან ბრძენი“-ო და მეც დავიწყე მისებრ ღრეჭა სიცილი, შემომხედა, და რა დამინახა, მეც მისი ჭკვის ვარ, გამხიარულდა და მოჰყვა თქლაფათქლუფს. წამიყვანა მიხასთან. მიხა დარაჯად იდგა ხაზინის კარებზე. საწყალი მობუზულიყო და ცახცახებდა, სველი ქათამივით გაფითრებულიყო. ღმერთო რა ვნახე! შევხედე საყარაულო ოთახს, აქ ოთახი კი არა ვირის საბმურასა ჰგავს, მარამ აქ ქიზიყელი კაცი ვირებსაც არ შერეკავს ამისთანა წუნწუხში დასაბმელად. შევხედე ჭერს, ისეა ნაწვიმი, როგორც გარეთ. იატაკი აქა იქ ჩაღრმავებულია და გუბეებით სავსე, საშინელი ნამი და ცუდი სუნი აუდის.—რა დაგმართვიათ კაცო რაზე იკლავ ამისთანა სადგომში თავს მეთქი;—რავქნა ეხლა სხვა ადგილს ვეძებთ. მეც გამამგზავნა კანცელიარში, გამოვიცვლები და მეც იქ მოვალო. გავწიე კანცელიარში. აქ ხალხი ბუზივით ირეოდა. ზოგი ფულის გასატანათ მოსულიყო, ზოგი პატენტის ასაღებად, ზოგიც ფულის გასაგზავნათ. აქაც ის ჩემი მოსულელო კაცი ყველას ელაზღანდარავებოდა, ზოგი ყურსაც არ იბერტყდა, ზოგი ვირს ეძახდა და ზოგი დამთხვეულ გიჟს. მე სწორეთ გითხრათ მოვერიდე, ვთქვი სულელს რა შევასმინო მეთქი. ბევრი ლოდინის შემდეგ ძლივს მოვიდა „ხაზეინი“ ე. ი. ხაზინადარი. მის დანახვაზე გაქანდა და გვერთ მოუდგა ის მოსულელო კაცი და თან სალხს დაუწყო დაჭყეტით ყურება, ზოგს ვითომც არიგებდა, ზოგს სტუქსავდა, თან ღრეჭით ჩვენ გადმოგვხედავდა, ვითომ ნახეთ რა კაცი ვარო. შევიდნენ ხაზინის საკუჭნაოში, ხალხი ერთმანეთს აწყდებოდა, ხან ერთ ოთახში შედიოდა, ხან მეორეში. მეც როგორც ცნობის მოყვარე კაცი აჰყე ხალხის ფეხის ხმას და ხან ერთ ოთახში შევყავ თავი ხან მეორეში. შევედით ჯერ ბუხგალტრის ოთახში. აქაც ოთახის ჭერს საკმაოთ ემჩნევა ნაწვიმი, თითონ ჭერიც პატარ-პატარა ფიცრის ნაჭრებით არის მაკოწიწ-მაკოწიწებული, იატაკიც აქა-იქ ჩანგრეული, ასე რომ თუ კაცი არ უფრთხილდა ფეხს მოიტეხს. მივაწოდე ერთ ჩინოვანს ჩემი ფულის დავთარი, ჯერ შემომიბუზღუნა,—უკან დაიწი,—ზედ ხომ არ შემაჯდებით და მიმართა ხალხს --რა დაგმართვიათ თქვე ოხრებო სად მიგაქთ ე ფულებით. ერთმა უპასუხა ჩემ ფულს სადაც მინდა იქ წავიღებ შენ რა გინდაო. აქ კი გაგვირისხდა ბრწყინვალე ჩინოვანი და თითქმის სამი საათი გვალოდინა გამოველით ისევ კანცელიარში. აქ პირდაპირ გაიღო ერთი პატარა ოთახის კარი და გამოყო სალდათმა თავი, არ გამიძლო გულმა და იქაც შევიხედე. ოჰ, აქ კი კინაღამ გული წამივიდა, პირქვე ეყარა ოთხი სალდათი თავის თოფებით, საშინლათ ყარდა იქაურობა, ოთახის იატაკიც სულ მინგრეულ მონგრეულია, იქაც თავისუფლათ უდენია წვიმას რის წყალობ თაც შპალიერი და კედლის გაჯი ჩამპალ ჩანგრეულია, შმორდა იქაურობა. ერთი სიტყვით იქ პირუტყვიც არ დაიბმება, არამც თუ კაცები აცხოვრონ. არც კანცელარიაა სანატრელ მდგომარეობაში, ალაგ ალაგ ჩანგრეული, სხვა და სხვა ფიცრებით ნაკოწიწები, სკამი არ არის რომ დაღლილმა კაცმა ქარი ამოიღოს. საწყალი მწერლები სულ პალტოებით ისხდნენ და ხელებზე იბერავდნენ. მითხრეს, აქ სიცივით ორი კაცი მოკვდაო. თურმე ხაზინადარი დღე ღამე თითო ღუმელზე სამ-სამ დერ შეშას იძლევა ასე რომ 1896 წლის შეშა ეხლაც გვიწყვიათ ჩვენ სიცივითა გვხოცავს თითონ კი 4 პროცენტიან სახელმწიფო რენტებს იმრავლებსო. როგორც იყო მისას წყალობით ვეღირსე ფულის გამოწერას, შევედ საკრებულოში, იქ სადაც ხაზინადარი ზის, აქაც კარგა ხან მომიხდა ლოდინი და ცდა. ხაზინადარი გაბრაზებულია, ზოგს „საბაჩი მორდას“ უუბნება, ზოგს „გავარი პო ხრისტიანსკი, ა ნე პო საბაჩი“-ო, ზოგს უყვირის „ტუტ რუსკი სჩეტ, გავარიტე ი სჩიტაიტე პორუსკი“-ო აქავ ერთი ძირ გავარდნილი სკამი იდგა და თუ ვინმე გაბედავდა და დაჯდებოდა ამ სკამზე, მაშინვე დაფთხენილ კურდღელივით წამოახტუნებდა. ამ სიტყვებით „ჩტო ვლადიმერ პერვი სტეპენი ესტ საბაჩი მორდა“ და სხვა. პრისაჟნებზე ხომ გადადიოდა ღელმაში სული, ნამეტნავად დიდ კბილებაზე, ეს კიდე იმდენად ხვრინავდა როგორც სამჭედურის საბერველი—„ნი ხრიპი მუკინშინ“. ერთი სიტყვით ვისაც გნებავთ რომ დახძლვის უნივერსიტეტი დაასრულოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიბძანდით სიღნაღის ხაზინაში და ისეთ დიპლომს მიიღებთ რომ თუ ევროპის გამოფენაზე გაიტანეთ პირველი ჯილდო თქვენი იქნება. საწყალი სოფლელი ხალხი ისე დაუშინებიას ჩუყილ-კვილ-ბუხუნ-ლანძღვით რომ, ცხვრის ფარასავით ერთმანეთს აწყდებიან, ხან იქით გაგრიალდებიან და ხან აქეთ. მომიხდა მეორეთაც მისვლა. ეხლა სულ სხვა გუნებაზე ვნახე ბობოლა ბიუროკრატი თავის დიდ კბილებს დამქაშით. ზის გაბრწყინვებული სახით თავის მინგრეულ-მონგრეულ და უსკამო დარბაზში, თავზე ადგია სამი პრისიავნი მათ შორის დიდკბილებაც, მუხლზე მტვერ ტალახში, ისეა გაპოხილი იატაკი მტვერ ტალახით რომ არ იცი ფიცრის იატაკზე დადიხარ თუ დედამიწისაზე. ნუ დაივიწყებთ რომ შენობა სახელმწიფოა. ბიუროკრატი გადმოჭყურებს ხალხს, ეუბნება დამცინვის კილოთი, — ა ერტობა? ერტობა ბრატ მოკვდა, ხახახახა! ბიუროკრატს დიდ კბილებაც კვერს უკრავს და ჭურის დიდ ლოჯებს ღორბლის ჩამოდენით, „იხნი ერტობა ვაშე ვისოკო ბროგგოროდი მათრახებია“-ო დას ხეა. ამ სურათების მნახველს მე მგონია კარგი შთაბეჭდილებას არ გამოჭყვება, ამ საბიუროკრატიოდან არა მკითხველო? მე დაუმატებ, ნეტარ როდის ეღირსება ამათ პარპაშობა-ბატონობის ბოლოს მოღება და ხალხის მასხარათ აგდება. ისიც ვიკითხე ნუ თუ ეს მოსულელო კაცი შესძლებს აქ მსახურებას მეთქი? ეგ კი არა მაგის ღვინო მსახურობსო. თურმე ათიოდე ჩაფი გამოსდის წელიწადში ამ საცოდავს და იმასაც კაზნაჩეის უზიდავსო, ხან შინ მიჭყავს და იქ ათრობსო, და არც ლანძღვა თრევას თაკილობსო. ეჰ, კარგი რამ გწორდეს გიკვირდეს ავი რა საკვირველიაო, უთქვავს უკვდავ რუსთველს.

**გოგო ჩაურელი.**

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ერისთავი-მდივნის**

# განცხადებანი

## ახალი წიგნები.

გამოვიდა ამ დღეებში და იყიდება „მუშისა“ და „ნობათის“ რედაქციაში:

1. მუშათა კავშირები და მათი მნიშვნელობა. სინდიკალიზმი. კ. ორგეიანისა, გამოცემა „კომუნისა“ . . ფ. 20 კ.
2. კომუნიზმი და ანარქია, პ. კროპოტკინისა. გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . . . . . . ფ 15 კ.
3. საერთო გაფიცვის მეორე დღე, ა. ბურშესი. გამოცემა „ნობათისა“ . . . . . . . . . . . ფ. 10 კ.
4. მეამბოხის სიტყვები. გამ. „ინტერნაციონალისა“, ფ. 5 კ.

# მუშა

**გამოდის ყოველ-დღე.**

ფასი გაზეთისა:

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | - | 2 | — | - | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |
| | ცალკე ნომერი . . . . 3 კ. | | | | | | |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ადრესი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

# გლეხი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და გააცნობს ჩვენს გლეხებს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატი და გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც თავის ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობრიობას განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობას და თავისუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დამლევამდე 1 მან. და 60 კ., სამის თვით—80 კ., ცალკე №—6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიორის ქუჩა, № 34) და წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ადამაშვილი.**

# გაზეთი „ივერია“ 1906 წ.

გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა პირველ მარტიდან წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით—3 მან., 5 თვით—2 მან.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

**1906 წელს** «შ რ ო მ ა» **1906 წელს**

სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

**ფ ა ს ი  გ ა ზ ე თ ი ს ა:**

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

**გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება**

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„შრომის“ წლიურ ხელის მომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „**ნაპერწკალი**“.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Шрома“.

# შედედებული სპირტი დენატურატ

არყის სახდელ ქარხნის პატრონთა კრების საბჭოს ნაწარმოები

პეტერბურგში

„**დენატურატ**“-ი სრულიად უშიშარია; წვის დროს ცუდი სუნი არ აქვს; დიდად სასარგებლოა: ოჯახში [illegible] ავადმყოფის მოვლის დროს საჭმლის მოსახარშად, ან საჭმელ-სასმლის გასათბობად; მეტად გამოსადეგია მგზავრობასა და ნადირობაში, აგარაკად ყოფნის დროს, სამხედროთათვის საზაფხულო ბანაკებზე, აგრეთვე ყველა ხელ-მარტოსათვის საჭმელ-სასმელის მოსამზადებლად და სხვ. და სხვ.

„**დენატურატ**“-ის ყუთს მიკრული აქვს განსაკუთრებული სამფეხის მაგიერი მავთულები, რომელზედაც ჭურჭელი დაიდგმება. ამგვარად მოწყობილი ყუთი მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს მიერ 1905 წლის 3 იანვარს № 24.720.

შედედებული „**დენატურატ**“ი-შეიცავს 95,5%-ს ჩვეულებრივ 90% ჰაჰის სპირტისას და გირვანქის მეოთხედი (1/4) კმარა, რომ მთელის საათ ნახევრის განმავლობაში ენთოს იგი.

ყუთები მუდამ გამოსადეგია „დენატურატ“-ის სახმარად: როცა ყუთში სპირტი სულ დაიწვება, უნდა ჩასდოთ იქ კვერ-კვერად ცალკე დამზადებული სპირტი „დენატურატ“-ი, რომელიც განსაკუთრებით დაბეჭდილ-შენახულია ცალკე ყუთში.

## „დ ე ნ ა ტ უ რ ა ტ“-ის ფ ა ს ე ბ ი:

ნახევარ გირვანქიანი (1/2) ყუთი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 40 კაპ.
მეოთხედ გირვანქიანი (1/4) „ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 25 „

**ცალკე ყუთში ჩაწყობილი** (სათადარიგო):

ნახევარ გირვანქიანი (1/2) . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 30 კაპ.

**ნარდად მყიდველს დაეთმობა 10-დან 20%-მდე**

შეგიძლიათ დაიბაროთ ამ ადრესით: **Тифлисъ, „Бюро-отрудникъ“—Дворцовая, д. Сараджева, во дворѣ.**

---

ცეცხლისაგან დამზღვევი საზოგადოება

# „ვ ო ლ გ ა“

ჰიიღება დასაზღვევად სახლები, ავეჯეულობა, საქონელი, ქარხნები და სხვ.

საზოგადოების სააგენტოს ადრესი: **ტფილისი, დვორცოვი ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, ეზოში.**

---

ახლად გახსნილი ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა

# „შ რ ო მ ა“

(ტფილისი, მიხეილის ქუჩა, 65)

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ბროშურებს, გაზეთებს, აფიშებს, განცხადებებს, საქორწილო და სადარბაზო ბარათებს, ბლანკებს, კონვერტებს, ჩეკებს და სხვ.; საქმეს ასრულებს სუფთად და სწრაფად.


ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შ რ ო მ ა“, ტფილისი მიხეილის ქუჩა, 65.